სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 6 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც მირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან, სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: [illegible] яш. 199. Редакція „Эртоба". [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 239 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 239

ტფილისის პარიკმახერთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა ღრმა გულის ტკივილით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ ძვირფასი ამხანაგის—ყოფილი გამგეობის თავმჯდომარის

**კოლია მეთოდის ძე მხეიძის**

უდროოთ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება დღეს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება დილ. 10 საათ., ქსენიევის ქუჩა, მელიქიშვილის სამკურნალოდან.

ვსთხოვთ ამხანაგ მეგობრებს და პატივისმცემლებს გამოცხადდნენ აღნიშნულ ალაგას. გამგეობა.

„გრეგუარის" საპარიკმახეროში მომუშავენი გამოვსთქვამთ განუსაზღვრელ მწუხარებას ძვირფასი ამხანაგის

**კოლია მეთოდის ძე მხეიძის**

უდროოთ გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს დილის 10 საათ., ქსენიევის ქუჩა, მელიქიშვილის სამკურნალოდან. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

გულ-დამწვარი მეუღლე ოლღა ალექსანდრეს ასული, შვილი მისი ვალოდია, გრიგორი, ივანე, ბიქტორ და ლევან მიხეილის ძენი ჯაფარიძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 1 ნოემბერს გარდაიცვალა გორის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორი

**ვასილ (ვასო) მიხეილის ძე ჯაფარიძე.**

პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 6 საათზე, ნიკოლოზის ქუჩა, 4ნ, დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. ცხედარს გამოასვენებენ დილის 10 ს.

გულ დამწვარნი: მეუღლე დარიკო გიგოს ასული ნიკოლაიშვილისი, ძმები: ივაკო, ლუკა, თედე ონისიმეს ძენი ნიკოლაიშვილები, ბიძები: პარმენ, აკაკი ალმასხანის ძენი ნიკოლაიშვილები, ცოლის ძმა პავლე გიორგის ძე წითურიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**რაჟდენ ონისიმეს ძე ნიკოლაიშვილი**

(2—2)

ერასტი ივანეს ძე ჭავჭანიძე, შვილებითურთ, მიხეილ და კონსტანტინე (კოკი) და ელისაბედ იოსების ასული კოპაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორენის დედა და მესამესი შვილი

**ნინო გრიგოლის ასული ჭავჭანიძისა.**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ნახევარ საათზე. გამოსვენება ხუთშაბათს, 7 ნოემბერს. (3—2)

ღრმად დამწუხრებულნი ბიძა ივანე ნიკოლოზის ძე მხეიძე, მისი მეუღლე, ძმები: პეტრე და დავით მხეიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ქსენიევის საავათმყოფოში გარდაიცვალა

**ნიკოლოზ მხეიძე.**

ცხედრის გამოსვენება მოხდება 6 ნოემბერს, დილის 9 საათზე. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული დედა ნინო, დები: ბაბუცა, ფაცია, კუკუნია, თამარა, ქეთო, ძმა იოსები და სიძე აპოლონი აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ, რომ 27 წიფობისთვეს (ძველი სტილით) გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის მეხუთე კლასის ხონის გიმნაზიის მოწაფის

**გიგლა პავლეს ძის ფარცხალაძის**

სულის მოსახსენებლად.

გულ დაწყვეტილნი: ბიძა ილარიონ თომას ძე და ბიძაშვილი თომა იაკობის ძე სიხარულიძენი აუწყებენ შეუობარ ნაცნობთ, რომ მიხაილოვის საავადმყოფოში, 3 ნოემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

**აკაკი ანტონის ძე სიხარულიძე,**

რომლის დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მწუხარების ქვეშ მყოფნი ძმა ნოე, რძლები: სოფიო და მარო, ძმის შვილები: ნინა, რაფიელ, ქეთო და თამარა კანდელაკები, ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ

**მაკარი კოსტანტინეს ძე კანდელაკის**

ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას ქ. ლანჩხუთში, მიმდინარე წლის 26 წიფობისთვეს. დაკრძალულ იქნა 30 წიფობისთვეს ქ. ლანჩხუთის წმინდა გიორგის ეკლესიაზე

ღრმად დამწუხრებული დედა ელენე ანტონის ასული, მამა ყარამან გრიგოლის ძე, მეუღლე ბარბალე ალექსანდრე წულუკიძის ასული, ძმა ვლადიმერი, დები: ვერა, ანნა, მარიამი და თამარი, სიძეები: ვასილ ამბაკოს ძე დუმბაძე და სტეფანე ივანეს ძე ამირბეკოვი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, საყვარელ

**ილია ყარამანის ძე ცეცხლაძის**

უდროოდ გარდაცვალებას.

მშობლები: ივანე და ნინო და ძმა ლონგინოზ გოგიჩაიშვილები ღრმეს მადლობას უცხადებენ ყველა იმ პირთ, ვინც პატივი სცა პირადი დასწრებით ან წერილობით საჩხერის ბრძოლაში ტრაღიკულად გარდაცვლილ პორუჩიკ

**მარკოზ ივანეს ძე გოგიჩაიშვილის**

ხსოვნას.

5-თე პოლკის არა მწყობრ ასეულისათვის საჭიროა გამოცდილი სამხედრო საქმის წარმოებაში

**მწერალი**

ჯამაგირი შეთანხმებით. მისამართი, საპოლკოს ქუჩა № 8 ასეულის უფროსთან. (2—1)

## მიმართვა ინტერნაციონალისადმი

ჩვენმა პარტიამ მუშათა ინტერნაციონალს მიმართა. მიმართვის ტექსტი ამ დღეებში გვქონდა გამოქვეყნებული გაზეთში. რის მიღწევა სურდა ამით პარტიას? პირველი იმის, რომ საქართველოს ს.-დ. შევიდეს ინტერნაციონალურ მუშათა ოჯახში, როგორც მისი დამოუკიდებელი ნაწილი. დღემდე ჩვენ რუსეთის ს.-დ. განუყოფელ ნაწილს წარმოვადგენდით და როგორც ასეთს, საკუთარი წარმომადგენლობის არ გვქონია. ამიერიდან ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. ყოველ სახელმწიფოს სოც.-დემოკრატია ცალკე წევრათ შედის საერთაშორისო კავშირში და ჩვენც სურვილი და მისწრაფება გვაქვს ასეთ წევრათ ვიქცეთ.

მეორე საკითხი, რომელიც ამაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი არაა, გახლავთ საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობისა.

ინტერნაციონალი ყოველთვის დამცველი იყო დაჩაგრულის და შევიწროვებულის იგი იყო მოსარჩლე წვრილ ერების და თავ დადებული მებრძოლი ზავისა და მშვიდობიანობისათვის, ე. ი. იმ იდეებისათვის, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა აინტერესებდეს და აინტერესებს კიდეც საქართველოს დემოკრატიას და მის ნორჩ რესპუბლიკას.

რასაკვირველია, მიმართვა ინტერნაციონალისადმი, არ უარყოფს და არც ეწინააღმდეგება სხვა სახელმწიფოებისადმი მიმართვას იმავე მიზნების მისაღწევათ. პარტია მიმართავს პარტიას, მუშათა კლასი ხელს უწვდის მუშათა კლასს, თავის მოძმეს. სახელმწიფო კი მიმართავს სახელმწიფოს. მართალია, დამოუკიდებლობის ცნობა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოებს. მაგრამ ინტერნაციონალის აზრი, აზრი დემოკრატიის, რომელიც დღეს მძლავრი ფაქტორი ხდება ევროპის საზოგადოებრივობისა და სახელმწიფო საქმეებში, უმნიშვნელო არ უნდა იყოს პატარა დემოკრატიულ საქართველოსათვის. და როდესაც დადგება საკითხი ევროპის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის და ნეიტრალიტეტის ცნობისა—განსაკუთრებით ნეიტრალიტეტისა—მთავარი და ერთგული, გულწრფელი დამცველი ამ მოთხოვნისა იქნება ევროპის დემოკრატია. იმპერიალისტები აღიარებენ დამოუკიდებლობას, თუ ეს მათთვის ხელსაყრელია. მაგრამ ნეიტრალიტეტის მიღება მათგან უფრო ძნელად მისაღებია, თუ დემოკრატიის ხმამ ბანი არ შეაწია და თავის ძალა არ დასდვა სასწორზე.

დღეს, ინტერნაციონალი კიდევ არ აღმდგარა იმ სახით, როგორც ომამდე იყო. მაგრამ ყველა დაბრკოლებები მისი აღდგენისა—უკვე დაძლეულია. ევროპის მუშათა კლასი იდეურათ გაერთიანებულია. რევოლიუციური მოძრაობა, რომელმაც ძლევრათ მოიდგა ფეხი ევროპის მრავალ სახელმწიფოებში—საუკეთესო ნიადაგს ჰქმნის ინტერნაციონალის გაცოცხლებისათვის.

და ჩვენი მიმართვა, როგორც მიმართვა პატარა ერის წარმომადგენლებისა, რომლებიც რევოლიუციურ მუშათა კლასს ხელმძღვანელობენ, არ დარჩება უყურადღებოთ და გამოუხმაურებლათ. ევროპის პროლეტარიატი არ ეთანხმება დიპლომატიურ თამაშს, არც ორპირობას. იგი ერთია ყველგან, და დიდსა და პატარა თავის წევრს ერთნაირის ენერგიით უხდება მფარველად და მოსარჩლეთ. ამიტომ, ჩვენი პარტიის მიმართვა ინტერნაციონალისადმი, ეს უდიდესი ისტორიული აქტია, რომელსაც ღრმა მნიშვნელობა ექნება ჩვენი დემოკრატიის და რესპუბლიკისათვის, და რეალურ სარგებლობასაც მოუტანს მას.

## სამიწადმოქმედო რეფორმა

II

**კერძო საკუთრება.**

როგორც ვიცით მემამულეების მიწები თითქმის ყველგან ჩამორთმეულია და ფონდშია მიღებული. არა გვაქვს სწორი სტატისტიკური ცნობები, მაგრამ დაახლოებით ხუთასი ათასი დესეტინა იქნება სხვადასხვა ღირსების მიწა ფონდში—ესაა სახნავ-სათესი მიწები, სათიბ-საძოვრები და ბაღ-ვენახები. ამ მიწის ბედი უნდა გადაწყდეს. როგორი უნდა იყვეს მიწის მფლობელობის ფორმა, ესე იგი, როგორს საფუძველზე უნდა აეგოს ეს მფლობელობა.

ყველა პარტია თავისებურ მოსაზრებით ხელმძღვანელობს ამ საკითხის გადასაჭრელათ.

ჩვენი მიზანი სოციალიზმია, ამიტომ ყოველი ჩვენი მოქმედება ამ მიზანს უნდა შევუფარდოთ და დავადგეთ იმ გზას, რომელიც ჩვენს მიზანს მიგვაახლოვებს. ეკონომიურ განვითარებისათვის ხელის შეწყობა,—შექმნა ისეთის პოლიტიკურის წყობილების, რომელიც დემოკრატიას უზრუნველყოფს—ასეთია ჩვენი მოქმედების საერთო ხაზი. მიწის საკითხის გადაჭრასაც ამ საზომით უნდა მივადგეთ.

ბატონყმურ ნაშთების მოსასპობათ ჩვენ უნდა ჩამოგვერთმია მიწა მემამულისათვის და ეს ჩამორთმეული მიწა დემოკრატიულ თვითმართველობისათვის უნდა გადაგვეცა. თვითმართველობა იჯარით გასცემდა დასამუშავებლათ ამ მიწებს. საიჯარო გადასახადი ადგილობრივ საქმეებს მოხმარდებოდა და მეურნეობის განვითარებასაც გზა ხსნილი ექნებოდა, თანაც შეუძლებელი იქნებოდა სპეკულიაცია მიწაზე. თითონ თვითმართველობის ორგანო ძალას მოიკრებდა და სოციალიზმზე გადასვლა მომავალში გაადვილდებოდა.

ამ მოსაზრებით ჩვენ სასურველათ მიგვაჩნდა მიწების მუნიციპალიზაცია.

მაგრამ ცხოვრების კანონი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვინემ ჩვენი განზრახვები. ობიექტიურათ რაკი ჩვენში წვრილი მეურნეობაა და განუვითარებელ იარაღებით უხდება გლეხს მუშაობა—წვრილი წარმოება დამახასიათებელი თვისებაა ამ მეურნეობის. წვრილ წარმოებას კი კერძო საკუთრება უფრო ეგუება. ამიტომ ჩვენი გლეხი სასტიკი დამცველია კერძო საკუთრების.

გლეხის ამ სულიერ განწყობილებას, სუბიექტიურ მომენტს ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გაუწიოთ, რადგან თუ გლეხობა არ დამშვიდდა წარმოუდგენელია დემოკრატიულ წყობილების არსებობა. მართალია, გლეხობა არ წარმოადგენს ძალას, როგორც სახელმწიფოს შემქნელი ელემენტი, მით უფრო სუსტია მისი როლი დემოკრატიულ წყობილების შექმნის საქმეში, მაგრამ, როგორც დამრღვეველ ძალას, გლეხობას დიდი მნიშვნელობა აქვს და თუ მისი ნება არ იქნა, ვერც ერთი სახელმწიფო ისე ვერ იარსებებს.

ამიტომ ავიღეთ ჩვენ ხელი მუნიციპალიზაციაზე და შევჩერდით ისეთს ფორმაზე, რომელიც არც ეკონომიურ განვითარებას შეაფერხებს და არც გლეხობისათვის იქნება მიუღებელი.

ეს არის მიწის კერძო საკუთრება.

ჩვენი პარტია უპირატესობას აძლევდა მიწის მუნიციპალიზაციას, მაგრამ მას გათვალისწინებული ჰქონდა ისიც, რომ შესაძლოა გლეხობამ ის არ ინდომოს. ამიტომ ჩვენს პროგრამაში აღნიშნულია, რომ, თუ ვინიცობაა, მუნიციპალიზაციის გატარება არ მოხერხდა, ჩვენ მხარს დავუჭერთ კერძო საკუთრებას.

როგორც ვხედავთ, კერძო საკუთრების მიღებით ჩვენ არც ჩვენს პარტიულ პროგრამას ვარღვევთ.

ეს პრინციპი ჟუყოყმანოთ უნდა შევიტანოთ ახალ კანონში და ამ საფუძველზე უნდა ავაშენოთ ჩვენი სამიწათმოქმედო პოლიტიკა.

ეს კითხვა ჩვენს საკუთარ წრეებში არც იწვევს დავას. სამაგიეროდ სრული გაურკვევლობა არ არსებობს საკითხში: ფასით თუ უფასოთ მიეცეს გლეხს მიწა.

## სომხის „სოციალისტები" და აგრარული საკითხი

სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი გ. ჯამალიანი წინადადებას აძლევს ჩვენს მთავრობას: შეაჩეროს მიწების ჩამორთმევა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სომხეთის მოქალაქეებისათვის.

ასეთი ხასიათის თხოვნები და წინადადებები ჩვენს მთავრობას სხვა მხრიდ ნაც მოსდის. რასაკვირველია, საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით შეიძლება დავა იმის გამო: უნდა გავრცელდეს თუ არა სახელმწიფოს კანონები იმ უცხოელებზე, რომელნიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ. მეცნიერება ამ საკითხს დადებითად სწყვეტს, „ძალთა განწყობილება" კი ხშირათ აუქმებს უზენაესობის პრინციპს და ძლიერი სახელმწიფო ავსებს ოპეკას უძლურისადმი. მაგრამ ასეთის ოპეკისათვის საჭიროა ფორმალური საფუძველი მაინც: უნდა არსებობდეს რაიმე აქტი.

სომხეთის წარმომადგენელს ჯამალიანს მოეხსენება ეს თუ არა—ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ერთი რამ გვაკვირვებს: 7 მარტის კანონი მიღებულია იმ დროს, როცა ამიერ-კავკასიის ნაწილს შეადგენდენ სომხეთი და აზერბეიჯანი. დაშნაკელებმა და მუსავატმა ეს კანონი მოიწონეს და ის ერთხმათ იქნა მიღებული სეიმის მიერ. საინტერესოა ვიცოდეთ: რა საბუთით და მოსაზრებით არ წოყავს სომხეთს სისრულეში ის კანონი, რომელიც თითონ მიიღო მან ჩვენთან ერთად? ყოველ შემთხვევაში სომხეთს და აზერბეიჯანს არც ზნეობრივი და არც იურიდიული უფლება არ აქვთ ჩვენ მოგვთხოვონ კანონი არ მოვიყვანოთ სისრულეში.

ან იქნებ ჰგონიათ, რომ ჩვენში მცხოვრებ სომხებს უპირატესობა უნდა მივცეთ საქართველოს მოქალაქეთა წინაშე? რისთვის? რომელ სიკეთისათვის?

## პრესა

„რეჩი" და „გრუზია" შეხმატკბილდნენ, რუსის იმპერიალისტები და ჩვენებური უცლაჯო ნაციონალისტები—ერთს ჰანგზე ამღერდნენ.

რაშია საქმე?

ს.-დ. ინტერნაციონალს მიმართა. მუშათა პარტია მთელი ქვეყნის მუშებს აცნობს თავის მოქმედების აზრსა და მიზანს, უწვდის ძმურად ხელს, მის ოჯახში შედის, რომელიც ერთად-ერთი ოჯახია სოლიდარობის, ძმობის და მშვიდობიანობის.

„გრუზიას" სწყინს, რომ ჩვენმა პარტიამ ინტერნაციონალს მიმართა და ასე წუწუნებს:

„რატომ მხოლოდ ქართველთა მთავრობა უნდა ეხეთქებოდეს აქეთ იქით, ანგარიშს აძლევდეს რაღაც რეალურად არ არსებულ პროლეტარულ ინტერნაციონალს. ახდენდეს ცუდ შთაბეჭდილებას რყევისა და დანაშაულობისას".

„რეჩიც" ამის თანახმათ განაგრძობს:

„ორივე გაგზავნილი წერილები ატყუებენ ან-ბანს გასამართლებელი სიტყვისას. რაღაცაში დამნაშავე არიან და ერთგულათ თავს იმართლებენ... თავს იმართლებენ ინტერნაციონალის წინაშე თავის მოქმედებაში და გრძნობთ, ურყეველათ ითხოვენ მისგან დახმარების აღმოჩენას.

ძალი უნებურად იბადება საკითხი, რატომ ინტერნაციონალს?

მან ხომ გამოიჩინა მთელი თავის გამოუსადეგრობა?".

ამ რიგათ ინტერნაციონალი არ მოსწონთ რუს-სომეხთა და ქართველების ნაციონალისტებს, მისი აღდგენა არა სწამთ, მისი დახმობა და გაქრობა ეპრიანებათ. ჩვენი მთავრობა არ მოსწონთ. ჩვენ პარტიას, რომელიც ამ მთავრობის მომხრეა, ბრალდებულად აცხადებენ და ორივე ერთი და იმავე სიტყვებით.

და ეს იმიტომ, რომ „ყვავი ჩხიკვის მამიდაა".

დემოკრატიას კი არც ერთთან აქვს რაიმე საერთო, არც მეორესთან. დემოკრატია—დემოკრატიის ემეგობრება და თავის ავსა და კარგს უზიარებს. ეს დასაძრახისია ნაციონალისტებისთვის, რომელნიც ერთმანეთის მოტყუებით ცხოვრობენ, ხოლო საქებარია დემოკრატიისთვის, რომელნიც ურთიერთის სოლიდარობაზე ეყრდნობა.

ნაციონალისტები ერთდებიან მხოლოდ მაშინ, როცა მუშათა წინაღმდეგ უნდათ გაილაშქრონ. აქ ისინი ერთსულოვანნი არიან. მაგრამ ვერც ამით მიაღწევენ საწადელს.

* *
*

„სახალხო საქმე" კვლავ უბრუნდება დამფუძნებელ კრებას დებულების იმ მუხლს, რომელიც საარჩევნო უფლებას ართმევდა ადმინისტრაციაში მოსამსახურე პირთ. სოც. დემ. წინადადებით ეს მუხლი დებულებიდან ამოშლილ იქნა. პარლამენტმა მიიღო ის აზრი, რომ ადმინისტრაციის მოხელეთ არ შეუძლიათ რაიმე გავლენა მოახდინონ ამრჩევლებზე იმით, რომ საარჩევნო უფლებით ისარგებლონ, როგორც მოქალაქენი, რომ ძალდატანება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრატორები ჩაერევიან არჩევნების ორგანიზაციაში.

ფედერალისტებმა ვერ გაიგეს ეს უბრალო ჭეშმარიტება, ვერ გაიგეს იმიტომ, რომ ეშინიათ: მილიციონერები ალბათ სოც. დემ. მისცემენ ხმასო. მაგრამ ეს ვერ სთქვეს პირდაპირ და ბ. შ. ნუცუბიძემ ასეთი უცლაჯო საბუთი მოიმიზეზა: ადმინისტრატორები ძალდატანებას მოახდენენო.

ამ უსაბუთო „საბუთის" საპასუხოთ ბ. შ. ნუცუბიძეს უთხრეს, რომ თუ ასე დავსვამთ საკითხს, მაშინ პროფესორებსაც უნდა აეყაროს უფლება, რადგან შესაძლოა პროფესორის გავლენის ქვეშ იქნენ სტუდენტებიო.

„სახალხო საქმეს" აქედან ასეთი დასკვნა გამოჰყავს:

„ეს უტყუარი ჭეშმარიტება არ ჰსურს გაიგოს კირილე ნინიძემ. მას საკმაოდ სძულს ქართველი პროფესორები, რომ მშვიდათ მოისმინოს მათი დასაბუთებული აზრი... მას კიდევ ერთი შემთხვევა ეძლევა ბოდიშ მოუხდელად წაჰკრას ფეხი ქართველ პროფესორს".

გასაკვირია „სახალხოს" ახირება: განდა თუ არა უნდა მოიწონო თურმე პროფესორის აზრი, თუნდაც ის სისულელეს ამბობდეს, თორემ პროფესორის მოძულეთ ჩაგთვლის. ჩვენ ცოტა სხვაგვარი შეხედულება გვაქვს პროფესორზე და ისიც კი გაგვიგონია, რომ როცა პროფესორს სისულელე უთქვამს უსტვენიათ კიდეც სტუდენტებს, მაგრამ აქედან არავის არ გამოუყვანია დასკვნა: სტუდენტებს საერთოდ სძულთ პროფესორებიო!

## საქართველო და მისი ბედი

VI

**დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა.**

აქსიომაა ე.ი. ჭეშმარიტება, რომელსაც დამტკიცება არ ესაჭიროება—რომ ყოველივე დიდი და ღრმა ცვლილება საერთაშორისო ურთიერთობაში დიდ გავლენას ახდენს პატარა ერებზე და ღრმა ცვლილება შეაქვს მათ შინაურ საქმეებშიაც. ჩვენ არა ერთხელ მიგვიქცევია ყურადღება იქითკენ, რომ ყოველივე ორიენტაცია პატარა ერისთვის დღევანდელ ქარტეხილში თვითარსებობის შესანარჩუნებლად წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას. მაშასადამე, როგორც საშუალება, ორიენტაციაც ცვალებადია. მაგ. თუ მიღებული ორიენტაცია საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა ცვლილების გამო უქადის ერს დაღუპვას, მის მიერ მოპოვებულ უფლებათა გაქარწყლებას, უკეთესია თვით ორიენტაციაც უნდა შეიცვალოს შეცვლილ გარემოების მიხედვით.

ასეთია საერთოთ ბედი პატარა ერისა, რომელიც მთელი თავისი არსებით დამოკიდებულია დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობაზე. აი შეიქცა ქართველი ერი, რომელმაც მიმართა გერმანიის მფარველობას, როდესაც რუსეთის მთლიანობა დაირღვა და თვით ქართველებს მოელოდა განადგურება ოსმალეთის ურდოებისაგან.

ჩვენ სოციალ-დემოკრატები არა ვართ იდეალისტები (ამ სიტყვის ფილოსოფიურ მნიშვნელობით), არა ვართ მეტაფიზიკები, არ ვსჯით განყენებულათ; ერთ რომელიმე მცნებას, ჭეშმარიტებას, არ ვთვლით გაყინულ, შეუცვლელ მოვლენათ. ჩვენ, როგორც მარქსისტები-მატერიალისტები, პოლიტიკაში ვმოქმედობთ რეალურად. ის, რაც დღეს სასარგებლო და მიზან შეწონილია, ხვალე ახალ გარემოების მიხედვით შეიძლება ადვილად გამოდგეს მავნე და დამღუპველათ იმ მიზნისთვის, რომლის მისაღწევად იბრძვის და თავს სწირავს ერი.

მაშინ ასეთ საშუალებაზე, ასეთ გზაზე ჩვენ ხელს ვიღებთ და ვადგებით ახალ, მიზნის შესაფერ გზას.

ეს არაა ოპორტუნიზმი, რადგან ოპორტუნიზმი უყვილევე საშუალებას

სთვლის მიზნად და თვით მიზანი მსხვერპლად მიაქვთ საშუალებისთვის, რასაც ერთ დროს ქადაგებდა ცნობილი ედ. ბერნშტეინი. ჩვენ კი მიზანს ვუმორჩილებთ საშუალებებს.

დღეს ჩვენი ხალხის მახლობელ მიზანს შეადგენს რევოლიუციის შემაგრება, მისი მონაპოვართა შერჩენა და დემოკრატიული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა.

ჩვენი დემოკრატიის მთელი პოლიტიკა მიმართულია ამ მიზნისაკენ. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ მსოფლიო ომის პირობებში ორიენტაციის შეცვლა თუ შენარჩუნება, და თვით არჩევა ამა თუ იმ სახელმწიფო ფორმისა დამოკიდებულია არა მარტო ჩვენ ნება-სურვილზე, არამედ, როგორც ზემოდ ვსთქვით, უპირველესად იმ ძლიერ სახელმწიფოზე, რომელიც ბატონობს და ამუშავებს საერთაშორისო პოლიტიკას.

უეჭველია, ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება გერმანიის მფარველობის ქვეშ ჰაერზე ჩამოეკიდებოდა და ჩვენ დღეს მიწასთან გასწორებული ვიქნებოდით, თუ გერმანიას ჰკუაში არ დაუჯდებოდა ეს ჩვენი დამოუკიდებლობა, თუ იგი არ წარმოადგენდა მისთვის ერთგვარ სარგებლობას.

დღეს ისტორიის ჩარხმა იბრუნა პირი.

საერთაშორისო მდგომარეობა ღრმათ შეიცვალა: დამარცხდა გერმანული იმპერიალიზმი, პრუსიის მილიტარიზმი.

საერთაშორისო პოლიტიკა ხელთ იგდო სახელმწიფოთა შეთანხმებამ ამერიკის მეთაურობით.

ბატონობს და მბრძანებლობს ინგლის-ამერიკული კაპიტალი.

ყოველივე სახელმწიფოებრივი კომბინაციები, პატარა ერების სვებედი გადასწყდება მომავალ საზავო კონგრესზე ინგლის-ამერიკის მადა-გახსნილ იმპერიალიზმის ძლიერი გავლენით. იბადება კითხვა: საერთაშორისო მდგომარეობის ცვლილებანი გვაიძულებს თუ არა ჩვენ, ქართველებს, შევსცვალოთ ჩვენი ორიენტაცია, ჩვენი დღევანდელი პოლიტიკა?

თქმა არ უნდა, თუ შექმნილი ახალი საერთაშორისო მდგომარეობა ჩვენ ერს დაუსვამდა ან დაუსვამს იმავე კითხვას—ან ფიზიკური განადგურება—ან ახალი ძალით თავზე მოხვეული ორიენტაცია, ეს სხვა საკითხია. ჟამისოთ კი ჩვენ ახალ ორიენტაციის ძიებას არ შევუდგებით. პირიქით, თუ გუშინდლამდე ჩვენ იძულებით ამოვეფარეთ იმპერიალისტურ გერმანიას ჩვენი ფიზიკური არსებობის გადასარჩენად, დღეს ჩვენ მთელი ჩვენი არსებით და ენერგიით უნდა მხარი დავუჭიროთ გერმანიის მოწინავე დემოკრატიას, რომელიც გამოდის გულწრფელ მომხრეთ ნამდვილ დემოკრატიულ ზავისა, რომ მით შევინარჩუნოთ ჩვენი თავისუფლება, ჩვენი პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, ვიტყვით მეტს.

მომავალ საზავო კონგრესზე ჩვენ და მთელი კავკასიის თავისუფალი ერები უნდა წარვსდგეთ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები და გავიყვანოთ მთელი კავკასიის ერთა კონფედერაცია და ნეიტრალიზაცია.

ამასთან ერთ საგულისხმო გარემოებას უნდა გავუწიოთ ანგარიში.

ინგლისს, საფრანგეთს და ამერიკას აქამდის არ უცვნიათ კავკასიის ერთა დამოუკიდებლობა.

ეს გარემოება, თქმა არ უნდა, ფრიად შეგვიშლის ხელს საზავო კონგრესზე, შეგვაკავებს ჩვენს ულებებს და ჩვენი სურვილების განხორციელების საშუალებებს. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ინგლის-ამერიკა საფრანგეთი ძირიანათ განსხვავდებიან გერმანიისაგან თავის შეხედულებით მომავალ რუსეთზე, მის ადგილზე და იმ როლზე, რომელიც მან უნდა ითამაშოს საერთაშორისო პოლიტიკაში.

ცხადზე უცხადესია, რომ ეს სამი სახელმწიფო გამოიყენებს რუსეთს ეკონომიურად თავის სასარგებლოთ, ხოლო პოლიტიკურად წინააღმდეგ გერმანია-იაპონიისა. ამ ორ მოსაზრების მიხედვით დაინტერესებულნი შეიძლება შეეცადონ გამთელებას და გაერთიანებას ძველი რუსეთისას.

თავიანთ იმპერიალისტურ მიზნის მისაღწევათ იგინი, რასაკვირველია, არ მოერიდებიან გადაახდევინონ რუსეთისგან ჩამოშორებულ განაპირა ერთა მიერ მოპოვებული უფლებები, როდესაც საზავო კონგრესზე დაისმება კითხვა რუსეთის გაერთიანებისა ყოფილ განაპირა ქვეყნებთან. ამ კითხვას კი აუცილებლათ წამოაყენებს თვით განახლებული რუსეთი.

ბოლშევიკური რუსეთი ისტორიის ჰბარდება, ეს ცხადია.

ისიც ფაქტია, რომ თავს იწევს სხვა ძალები ინგლის-ამერიკის დახმარებით.

ისიც ვიცით, რა ბელა-დიდების მატარებელი იქნება ამ გზით განახლებული რუსეთი. იგი გამოცხადდება კონგრესზე, და წამოაყენებს კითხვას თავის ყოფილ განაპირა ქვეყნების შემოერთებისა და მას შეიძლება დაუჭირონ მხარი ინგლის-ამერიკამ.

ეს კითხვა იმდენად არ შეეხება ფინლანდიას, პოლონეთს (ვფიქრობთ მათ სრულიადაც ასცდებათ), რამდენათაც ამიერ-კავკასიას.

რა მოგველის ჩვენ ამ შემთხვევაში?

თუ საზავო კონფერენციამდე საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობა ნამდვილი დემოკრატიული ზავის ჩამოსაგდებათ საგრძნობელათ გაიზარდა, გაღრმავდა, მაშინ ამ კითხვას ადგილი არ ექნება. ხოლო თუ კონფერენციაზე გაიმარჯვებს იმპერიალისტური პოლიტიკა, კავკასიის ერებს არ ასცდებათ ზემოხსენებული საკითხის დასმა, რომელიც წამოყენდება მთელი თავისი სიღრმე-სიგანით.

მდგომარეობა ჩასაფიქრებელია და ჩვენ ყოველ შემთხვევაში უნდა მზათ ვიყვეთ პასუხის გასაცემათ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნის დემოკრატია შესაფერ პასუხს მისცემს შექმნილ მდგომარეობის მიხედვით, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს დემოკრატის ინტერესი და მისი ბედი, და აგრეთვე ბედი კავკასიის მთელი დემოკრატიის. იგი შეეცდება ევროპის დემოკრატიის ძალებს დაეყრდნოს და ამით თავის დემოკრატიული უფლებები შეინარჩუნოს.

ა. კახელი.

# საქართველოს პარლამენტი

**2 ნოემბრის სხდომა.**

**თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.**

**მუხლობრივი განხილვა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულებისა.**

მომხსენებელია ალ. ლომთათიძე. წინა სხდომაზე მიღებულ იქნა 3 მუხლი პროექტის. მეოთხე მუხლი უკამათოდ მიიღეს. კამათს იწვევს მე-5 მუხლის მე 5 ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციაში მოსამსახურეთ არ აქვთ საარჩევნო უფლებათ.

მედ. რუხია იურიდიულ კომისიის სახელით მოითხოვს, რომ ეს მუხლი ამოიშალოს, საჭიროა ადმინისტრაციას საარჩევნო უფლება დავუტოვოთ.

სპ. კედია საჭიროთ სთვლის ადმინისტრაციაში მოსამსახურეთ მხოლოდ აქტიური საარჩევნო უფლება მიეცეთ.

რ. არსენიძე. ჩვენ წინათაც აღვნიშნეთ და ახლაც ვიმეორებთ, რომ პრინციპი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, ეს არის ის, რომ ყველა მოქალაქემ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში. თუ ჩვენ ადმინისტრაციაში მოსამსახურეთ წავართმევთ უფლება, მაშინ ღირსეული პირნი არც კი დარჩებიან სამსახურში, როგორც უფლება მოკლებულნი. წინადადება შეაქვს ეს მუხლი ამოიშალოს.

შ. ნუცუბიძე. თუ რომ გვინდა არჩევნები იყვეს ხალხის ნებისყოფის გამომხატველი, არ უნდა მიეცეთ ადმინისტრაციას არც აქტიური და არც პასიური საარჩევნო უფლებანი. სწორეთ იმ მიზნისთვის, რომ ერის დიდმა უმრავლესობამ გამოსთქვას თავისი აზრი, არ უნდა მიეცეთ ადმინისტრატორთ საარჩევნო უფლებანი. თავის დებულების დასამტკიცებლად ორატორს მოჰყავს მაგალითი, რომ თუ გუბერნიის კომისარი იქნება ასარჩევი, მას ყოველთვის შეუძლიან მოახდინოს ადმინისტრატორებზე ერთგვარი გავლენა თავის კანდიდატურის სასარგებლოთ.

კ. ნინიძე. გაუგებრობას უნდა მივაწეროთ, რომ დაინახეს დემოკრატიული პრინციპის ღალატი თუ ადმინისტრატორთ მიეცათ საარჩევნო უფლებანი, არჩევნებისათვის არსებობს საგანგებო მოწყობილი აპარატი, იქნება ორგანიზაცია, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას არჩევნებს, ადმინისტრაცია, მის გარეშე დგება და ვერც გავლენას მოახდენს. არჩევნები არის თავისუფალი ნების ყოფის გამოხატვა. იგი არის ფარული და თუ გუბერნიის კომისარი იქნება ასარჩევი, ის ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს, რადგანაც არ ეცოდინება, რომელი ადმინისტრატორი ვის მისცემს ხმას, თუ რიცხვი არ გაინტერესებთ ამომრჩეველთა და მხოლოდ თვისებას აქცევთ ყურადღებას, მაშინ ვაჭრებს, როგორც სპეკულიანტებს არ უნდა მისცეთ საარჩევნო ხმის უფლება, მღვდლებს—როგორც კლერიკალებს უნდა წავართვათ უფლება, რადგანაც არ იქნება სოციალისტთათვის ხელსაყრელი მათი ხმები. თუ გავლენისა გეშინიანთ, მაშინ პროფესორებსაც უნდა წავართვათ ხმის უფლება, რადგანაც მათ შეუძლიანთ სტუდენტებზე მოახდინონ გავლენა (სიცილი). ასე თუ გავყევით, შორს წავალთ. ჩვენ თვითმპყრობელობის დროს ყველას ვებრძოდით და უპირველესად მთელი ბოროტების განმახორციელებლათ შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყება მიგვაჩნდა, იგი ყველას სძულდა და ეს სიძულვილი ეხლაც კი შერჩათ ზოგიერთს. ორატორი იცავს არსენიძის წინადადებას და მოითხოვს ამოიშალოს მე 5 მუხლის მე 5 ნაწილი.

ი. გობეჩია მოითხოვს არ მიეცეთ ადმინისტრაციაში მოსამსახურეთ არც პასიური და არც აქტიური საარჩევნო უფლებანი.

ხმის უმეტესობით მიიღეს წინადადება ამოიშალოს ეს მუხლი და მიეცეს ადმინისტრაციას საარჩევნო უფლებანი. იწვევს კამათს მე 5 მუხ. მე 7 ნაწილი. სადაც აღნიშნულია, რომ არჩეულ იქნას ამის უფლება იმ პირსაც აქვს, რომელიც სრულებით არაა შეტანილი საარჩევნო სიაში.

სპირიდონ კედიას აზრით ამ მუხლს უნდა დაემატოს, რომ პასიური საარჩევნო უფლება უნდა მიეცეთ მათ, ვინც 25 წლისა იქნება და ეცოდინება ქართული წერა-კითხვა. კედიას აზრით შეუძლებელია 20 წლის კაცმა შესძლოს ცხოვრებას გაუწიოს ანალიზი და მის კითხვებზე ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს.

ალ. ლომთათიძე. თუ კედია დაამტკიცებს რომ შეუძლებელია 20 წლის კაცი იყოს მომზადებული, მაშინ მართალი იქნება და მისი წინადადებაც მისაღები. რატომ ჰგონიათ, რომ პოლიტიკური პარტია კანდიდატთა დასახელების დროს არ იხელმძღვანელებს მით, რომ ღირსეული პირები გაიყვანოს დამფუძნებელ კრებაში.

პარლამენტმა ხმის უმეტესობით უარჰყო სპ. კედიას წინადადება და მიიღო მე 5 მუხლის მე 7 ნაწილი, კომისიის რედაქციით. მე 10 მუხლში ნ. ნათაძეს შეაქვს შესწორება, რომ რადგანაც ცენტ. საარჩევნო კომისიას აქვს დიდი მნიშვნელობა, არ უნდა იყვეს ისეთი ფრაქცია, რომელიც არ მიიღებს ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობას. ამისათვის საჭიროა რიცხვი 13 შევცვალოთ 21. სოც.-დემოკრ., როგორც დიდ ფრაქციას ეყოლება 7 წარმომად. სოც. ფედერალისტებს 2, დანარჩენ ფრაქციებს თითო წარმომადგენელი. ეს წინადადება მიიღეს. მე-12 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ სამაზრო საარჩევნო კომისიას ადგენს სამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობა, რომელიც თავის წრიდან ირჩევს თავმჯდომარეთ, ეს უკანასკნელი კომისიას ადგენს მაზრაში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით".

ამ მუხლში შესწორება შეაქვს შ. მიქელაძეს. იგი მოითხოვს, რომ თვითმართველობის გამგეობა უნდა ირჩევდეს საარჩევნო კომისიას და არა თავმჯდომარე.

სპ. კედია მოითხოვს, რომ ყველა არსებული პარტიათა წარმომადგენლები უნდა იღებდნენ მონაწილეობას საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო აპარატის შექმნა უნდა დავალებული ჰქონდეთ მოსამართლეებს, როგორც ნეიტრალურ პირებს.

რ. არსენიძე. პირველი შესწორება შ. მიქელაძესი მისაღებია. რომ გამგეობამ აირჩიოს კომისია ჩვენ მისაღებათ. მიგვაჩნია. რაც შეეხება ძირითად პრინციპებს, ჩვენ მისი შეცვლა შეუძლებლათ მიგვაჩნია. საჭიროა დარჩეს პრინციპი მომქმედ პარტიათა ძალთა განწყობილების მახედვით, თორემ თუ ჩვენ ყველა მცირე პარტიათა წარმომადგენლები შევიყვანეთ კომისიაში, ეს შეუძლებელი იქნება. ყველამ იცის, როგორ სოკოსავით დამრავლდებიან პარტიები და თუ ყველანი შევიდნენ საარჩევნო კომისიაში, მაშინ ის პარტიები ვინც რაიმე ძალას წარმოადგენენ, მასში გაითქვიფებიან. რაც შეეხება იმ დებულებას, რომ მოსამართლეს, როგორც ნეიტრალურ პირთ, მიეცეთ ხელმძღვანელობა არჩევნების, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ეს პრინციპიალურად მიგვაჩნია მისაღებათ, მხოლოდ ტეხნიკურათ შეუძლებელია ამ ქამთ ამის განხორციელება. არ გვყავს ჯერ მოსამართლენი ყველგან, მათ ჯერ ვერ შეუსრულებიათ თავიანთი პირდაპირი მოვალეობა და გინდათ კიდევ ზედმეტი ფუნქციების დაკისრება.

ალ. ლომთათიძე. ეთანხმება შ. მიქელაძეს შესწორებას. რაც შეეხება იმას, რომ პარტიათა ძალთა განწყობილება არ იქნეს პროექტში, ეს მას შეუძლებლათ მიაჩნია, რადგანაც ყველასთვის ცხადია, რომ პარტიები დამრავლდებიან და შეუძლებელი იქნება ყველას კომისიაში შეყვანა. მოსამართლეების მიერ გაწევა საარჩევნო კომპანიისა—ეს ტეხნიკურათ შეუძლებლათ მიაჩნია მომხსენებელს.

ხმის უმეტესობით მიიღეს შ. მიქელაძის შესწორება, სპ. კედიას წინადადება უარყვეს. გობეჩიას წინადადება, რომ საარჩევნო კომისიას ადგენს მხოლოდ სამაზრო ერობა, უარყვეს. უკამათოდ მიიღეს მე 60 მუხლამდე: მე 60 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ „სახელობით მოწმობებში აღინიშნება სახელი, მამის სახელი და გვარი, ან მეტი სახელი ამომრჩევლისა".

რ. გაბაშვილის წინადადებით, წინადადება „ან მეტი სახელი", იქნება მოხსენებული მე 60 მუხლის შენიშვნაში. მიიღეს მე 100 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ ვინც არჩევნების დროს პიროვნებაზე ძალადობას იხმარს, დაისჯებაო.

შ. მიქელაძე მოითხოვს, რომ დებულებაში აღინიშნოს, რომ ის ადმინისტრატორთაგანი, ვინც მოახდენს ძალადობას, გასწევს აგიტაციას ამა თუ იმ კანდიდატთა სიის სასარგებლოთ, აუცილებელ უნდა დაისაჯოს სასტიკათ.

ა. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ თუ ჩვენ მივიღებთ ამ წინადადებას დავარღვევთ ძირითად მუხლს, სადაც აღნიშნულია, რომ ადმინისტრატორთ ენიჭებათ პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებანი. ჩვენ, როდესაც მეხუთე მუხლში შევიტანეთ ის პუნქტი, რომ ადმინისტრატორთ წავართვათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ჩვენ ვგულისხმობთ იმ პირთ, ვისაც დაკისრებული ექნებოდა არჩევნების ხელმძღვანელობა. ასეთი შესწორების შეტანა კი ზედმეტათ მიგვაჩნია. ფედერალისტების წინადადება უარყვეს. დანარჩენი მუხლები პარლამენტმა უკამათოდ მიიღო.

ა. ლომთათიძე მოახსენებს პარლამენტს იმ ხარჯთაღრიცხვას, რომელიც დასჭირდება საარჩევნო კომპანიას. საერთო ჯამი ხარჯებისა 4 მილ. მანეთია.

იახ. ლორთქიფანიძეს საფინანსო კომიის სახელით შეაქვს შესწორება, რომ ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული იყოს, რომ იმ პირთ, ვინც დამფუძნებელ კრების არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას, მუშაობის გათავების სალიკვიდაციო ფული არ მიეცეთო. ეს წინადადება მიიღეს.

პარლამენტმა მიიღო კომისიის მიერ შეიმუშავებული საარჩევნო ბარათი.

ალ. ლომთათიძეს შეაქვს წინადადება, რომ რადგანაც ამ დებულებას ესაჭიროება განმარტება და საჭიროა სახელმძღვანელო ინსტრუქციის შედგენა, ეს შრომა დაეკისროს ცენტრალურ კომისიას, რომელიც შეიმუშავებს ინსტრუქციას და გაატარებს ცხოვრებაში უპარლამენტოთ. ეს მხოლოდ ტეხნიკური მხარე იქნება და რომ დროზე შეიმუშავდეს ინსტრუქცია, არ არის საჭირო პარლამენტს წარუდგინოთო.

რ. არსენიძე. როდესაც ავირჩევთ საარჩევნო ცენტრალურ კომიტეტს, მაშინ გვექნება თათბირი ალ. ლომთათიძის წინადადების შესახებ. არსენიძეს წინადადება პარლამენტმა მიიღო.

**კანონპროექტი ხაზინო დაწესებულებაში საკანცელარიო გადასახადისა.**

მომხსენებელია დავ. შარაშიძე.

პარლამენტმა მიიღო შემდეგი პროექტი:

საბაჟოები ყოველ საბუთების შედგენაში და დაწერაში, როგორიც არის გადასატანი მოწმობა, იარლიკები, წერილობითი განცხადება, გასატანი დასახელები სია, კვიტანცია და სხვა ამგვარი საბუთები, ახდევინებენ ცალკე საკანცელარიო გადასახადს, რომელიც გადახდილ უნდა იქნას ამ დოკუმენტების შედგენის და დაწერისთანავე, ანდა ბაჟის შეტანის დროს. ამ გადასახადებისათვის დაწესდეს შემდეგი ნუსხა:

1) ყოველ წერილობითი განცხადებაში, საქონლის სიაში და გასატან სიაში გადახდება ყოველ ასს მანეთზე 1 მან.

შენიშვნა: ყოველ არა სრულ ასეულ მანეთზე იხდევინება 1 მ.

2) გასატან მოწმობაში, თუ გასატანი საქონელი განთავისუფლებულია ბაჟისაგან, ყოველ 1000 მან. განცხადებულ საქონლის ფასში გადახდება 1 მ.

3) ყოველ იარლიკში და წერილობითი ბრძანებაში, რომლითაც საქონელი გაიშვება საწყობიდან, ანდა გადასატანი მოწმობები და იარლიკები, რომელიც საქონლის გასატანათ ეძლევა, გადახდება 75 კაპ.

4) ყოველ კვიტანციაში ბაჟისა და სხვა რაიმე გადასახადისა, გადახდება 75 კაპ.

5) ყოველი ქაღალდის პირი (კოპიოში კერძო პირთ და საზოგადოებათ გადახდებაა თითო გვერდზედ, რომელიც უნდა შეიცავდეს არა უმეტეს 25 სტრიქონისა, 1 მან.

შენიშვნა: ყოველი საბუთი, დასახელებული 1, 3 და მე-4 მუხლებში, თუ ბაჟი საქონელზე 15 მანეთზე ნაკლებია, განთავისუფლებულია საკანცელარიო გადასახადისაგან.

**საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთა აღრიცხვა.**

დ. ონიაშვილი. საგარეო საქმეთა სამინისტრო დაარსდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან. სხვა უწყებებს ჰქონდათ ტრადიციები. ამ სამინისტროს მოუნდა მუშაობის ახლად დაწყება, მას არავითარი პრეცენდენტები არ ჰქონდა. არ აქვს ამ უწყებას აგრეთვე არავითარი შემოსავალი. მისი ხარჯები მხოლოდ ხაზინას ემყარება. ხარჯთაღრიცხვა დიდი ხანია შედგენილია. ეხლა, როდესაც სხვა ქვეყნის ნეიტრალურ სახელმწიფოებმა იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, ხარჯებიც, რასაკვირველია, მოგვემატება დიპლომატიურ წარმომადგენელთა დასანიშნავათ.

ხარჯთაღრიცხვის ჯამი 497550 მან. პარლამენტმა უკამათოდ მიიღო. სოც. დემ. ფრაქციის წინადადებით მიიღეს, რომ პარლამენტის სხდომა იხსნებოდეს სრულ 12 საათზე და გრძელდებოდეს 3 საათამდე.

სხდომის დასასრულ მოსმენილ იქნა სომხეთის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის დეპეშა, რომელიც გუშინ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა.

არსენიძეს შემოაქვს წინადადება, რომ პარლამენტის პრეზიდიუმმა შესაფერი პასუხი შეიმუშავოს და გაუგზავნოს სომხეთის საბჭოს. წინადადება მიიღეს ერთხმად.

აკ. ხ—უა.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

**5 ნოემბერი.**

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი.** სამხედრო ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის არმია. გენტის ჩრდილოეთით ჩვენი ახალი პოზიციების წინ სადარაჯოები იყო. აქ არხთან და ქალაქის განაპირას, დასავლეთის მხრით, მტერთან ბრძოლა გვაქვს. ვალონსიენის აღმოსავლეთით ფრონტი რამოდენიმედ უკან დავსწიეთ. საღამოთი მტერი ონნესა, ჟენსიენსა და ვალლესპოლთან იყო. ლეკენუას და ლანდრესის ორივე მხარეზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ლანდრესის დასავლეთით კონტრიერიშით მტრის განახლებული იერიშები შევაჩერეთ.

გერმანიის კრონპრინცის და ჰალვიციის არმიები. უაზის და ენის შუა საღამოთი საარტილერიო მოქმედება გაცხოველდა, ხოლო ბონონთან და გზის ჩრდილოეთით კი მძაფრი ხასიათი მიიღო, რადგანაც მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ. მაასის დასავლეთით, რამდენიმედ უკან დავიხიეთ, რასაც კავშირი აქვს ენის აღმოსავლეთით გუშინდელ ჩვენს უკან დახევასთან. ლეშენის სამხრეთით და ვიკრიერთან მოწინავე სადარაჯოების ბრძოლაა. სომმათო ბელვალს შუა ამერიკელების საიერიშოთ წამოსული ჯარი ბელვილის ჩრდილოეთით ტყეში შევაჩერეთ. მაასის აღმოსავლეთის მხარეზე მტრის შემოტევამ უნაყოფოდ ჩაიარა. მაასის და მოზელის შუა მტერს იერიში მოაქვს. მოზელის დასავლეთით ჩვენ დავსტოვეთ თხრილების ის პატარა ნაწილებიც, რომლებიც უკანასკნელ ბრძოლის დროს ჩვენ ხელში იყო დარჩენილი.

**ბერლინი.** საღამოს სამხედრო ცნობა. უაზის და შელდას შუა ბრძოლაა. 60 კილომ. ფრონტზე ინგლისელების და ფრანგების განახლებულმა ცდა გაერღვიათ ფრონტი, უნაყოფოთ ჩატარდა. ლე კესნუასა და ანდრეს შუა მოტანილი იერიში ჩვენმა რეზერვებმა შეაჩერა. დანარჩენ ფრონტზე მტრის იერიშები ჩვენმა მოწინავე ძალამ შეაჩერა. მაასის დასავლეთით, დვიელეცკის ტყეში ბრძოლა გრძელდება.

**მოსკოვი.** ყველას. სრ. რ. ც. ა. კომიტეტმა, სახალხო კომისართა საბჭომ და მოსკოვის საბჭომ ავსტრია-უნგრეთის პროლეტარიატისადმი მოწოდება გამოუშვა, რომელშიაც სალამი ეძლევა ყოფილ ავსტრია-უნგრეთის მონარქიის მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხებს. რუსეთის პროლეტარიატს სიხარულით გული უძგერს, როდესაც მას ცნობა მოსდის, რომ ავსტრია-უნგრეთის პროლეტარიატმა ხელში აიღო ზავის საქმე, აცხადებს სოციალისტურ რესპუბლიკას და დეპუტატთა საბჭოებს ამყარებს. როდესაც გერმანელი, ჩეხელი, კროატები და უნგრელი მუშები, ჯარისკაცნი და გლეხები ძალა-უფლებას ხელში აიღებენ დაასრულებენ ეროვნულ განთავისუფლების საქმეს, მაშინ ისინი შეჰკრავენ ძმურ კავშირს და გაერთიანებული ძალებით დაამარცხებენ კაპიტალისტებს. დამშეული თქვენი მუშები პურს მიიღებენ უნგრეთის გლეხებისაგან, შრომის პროდუქტების სამაგიეროთ. ავსტრიის მუშები, გლეხები და ჯარისკაცები ნებას არ მისცემენ თავის ბურჟუაზიას, ინგლის-ამერიკის კაპიტალის გასავითარებლათ. ინგლის-ამერიკის და საფრანგეთის კაპიტალი ისეთივე მტერია მუშათა კლასისათვის, როგორც გერმანიის კაპიტალი. თუ პირველმა გაიმარჯვა, ის უზარმაზარ კონტრიბუციებს დაადებს ავსტრია უნგრეთის პროლეტარიატს. ასეთი მომენტი უმოწყალო ომს მხოლოდ რუსეთის მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ მიმართავდა, რათა აიძულონ ისინი რუსეთის ბურჟუაზიის და ცარიზმის ვალები გადაიხადონ. ასეთი დახმარება, რომელსაც გაუწევს ამერიკის კაპიტალი დაპირებულ პურის მაგიერათ, ავსტრია-უნგრეთის პროლეტარიატს შეუძლია დახმარების და პურის მიღება მხოლოდ რუსეთის მუშათაგან, რომლებმაც ძალა-უფლება ხელში აიღეს და მძლავრი წითელი არმია შექმნეს. მშრომელ მასსების განთავისუფლება მხოლოდ საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციით შეიძლება. მთელი წლის განმავლობაში რუსეთის პროლეტარიატი მარტოთ მარტო იცავდა თავის ძალა უფლებას. ის მოელოდა დახმარებას დასავლეთ ევროპის ამხანაგებისაგან. ეს დახმარება უკვე მოდის. გაუმარჯოს ავსტრიის ხალხთა თავისუფლებას, გაუმარჯოს ავსტრია უნგრეთის დეპუტატთა საბჭოებს, გაუმარჯოს რუსეთის საბჭოებთან კავშირს. მოსკოვის პროლეტარიატი გულმოდგინეთ ადევნებს თვალ-ყურს, თუ როგორ იწვის ყოფილი ავსტრია. ცნობებს ფიზლათ ვისმენთ. ხალხი ხარობს, როდესაც მას ესმის, რომ ვენაში და ბუდაპეშტში რევოლიუცია იმ ფაზისებში შევიდა, რომელსაც [illegible] მოელოდა იგი და რომლისაც უკვე განვლო რუსეთის [illegible] გარდმა. დღეს, მოსკოვის პროლეტარიატმა, რაიონების მიხედვით დაყოფილმა, მოსკოვის საბჭოს წინ დიდი დემონსტრაცია გამართა, დიდია მებრძოლთა სიხარული, როდესაც ისინი ხედავენ, რომ მათთან ერთათ პირველ რიგში სდგებიან მათი ამხანაგები, რომელთაც დიდი ხანია მოელოდნენ. ძველი მებრძოლის ფრიდრიხ ადლერის განთავისუფლების გამო დღეს მიტინგები გაიმართა. დღეს გახსნილ იქნა რომბესპიერის, შევჩენკოს, კალცოვის და ნიკიტინის ძეგლები. ვენა. მუშებისაგან შესდგა წითელი გვარდია. სტუდენტობა და აფიცრობა ადგენს თეთრ გვარდიას. კროაციის მთავრობამ ყოველივე დამოკიდებულება შესწყვიტა ბუდაპეშტთან. ხადგ. კორნიფორნი. ოსმალებმა მიიღეს დროებითი ზავის პირობები: არმიის დაუყონებლივი სრული დემობილიზაცია და ყველა სამხედრო გემების მოკავშირეებისათვის გადაცემა. ბერლინი. პოლენეთის სარეგენტო საბჭომ გამოაქვეყნა საყოველთაო სამხედრო ბეგარის კანონი. ბუზულუკი. (რუსეთი) ჩვენი ჯარი მტერს ფეხდაფეხ სდევნის. მტერი სუსტი ძალებით გვებრძვის. ბუზულუკის აღების დროს წითელ არმიის ნაწილებს შეხვდნენ მუშები, რომლებმაც მიტინგი მოაწყვეს. მუშების წარმომადგენლებმა მადლობა გამოუცხადეს ქალაქის აღებისათვის. ბუგურუსლანი. მთავარსარდალმა ვაცეტისმა რკინის დივიზიას გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიაც აღფრთოვანებას გამოსთქვამს. რკინის დივიზიამ ამ ორ კვირაში ბრძოლით 600 ვერსი გაიარა, დაიპყრო: სიმბირსკი, სიზრანი, ბუგურუსლანი და ბუზულუკი. ხელთ იგდო დიდი დავლა და გამარჯვებით წინსვლას განაგრძობს. ვორონეჟი. პავლოვსკის მიმართულებით ჩვენი ნაწილი წინ მიიწევს. ყაზახები უწესრიგოთ უკან იხევენ. ხარკოვი. ქალაქის ცენტრში დღეს ჩხრეკა დაპატიმრება მოხდა. სხვა ქალაქებიდანაც ასეთივე ცნობები მოდის. ოდესა. აღმოაჩინეს დიდი ქარხანა, სადაც დონისა და უკრაინის ყალბ ფულს აკეთებდნენ. კურსკი. ყირიმში მთავრობა აღარ არის. სულკევიჩს არც ერთი პოლიტიკური ჯგუფი არ ემხრობა. კომუნისტების პარტია იზრდება და თავისუფლათ მუშაობს. ვორონეჟი. კასნოვის ბრბო სოფლებს ანადგურებს და ქონებას იტაცებს. მისმა პოლიტიკამ თეთრ გვარდიელების ნაწილები დაქსაქსა. პოლკიდან ბევრი გარბის და საბჭოთა მხარეზე გადადის. დონის კომუნისტების პროპაგანდამ გავლენა იქონია კრასნოვის ჯარისკაცებზე. დონის როსტოვი. კავკავის რკინის გზის გაფიცვა გრძელდება. მთავრობა რეპრესიებით ემუქრება. არმავირიდან იუწყებიან, რომ რევოლიუციონური მოძრაობა სტავროპოლის გუბერნიაშიც დაიწყო. მოხალისეთა რაზმის ნაწილი მეამბოხეთ ემხრობა ეკატერინოსლავი. საარტილერიო საწყობები აფეთქდა. სარატოვი. ასტრახანში უნივერსიტეტი გაიხსნა, დაიწყო ლექციები. ზოგიერთ სტანიცებში ღარიბ ყაზახთა კომიტეტები დაარსდა. მოსკოვი. სამხედრო ცნობა. უკანასკნელ ცნობებით, ჩრდილოეთის ფრონტზე, მოწინააღმდეგის ჯარი უკან იხევს. ფსკოვის მიმართულებით თეთრ-გვარდიელების ნაწილი ეცადა სადემორკაციო ხაზზე, ფსკოვის ტბის აღმოსავლეთ ნაწილთან გასვლას, მაგრამ უკუვაგდეთ. ურალის ფრონტზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ მიმდინარეობს. დასავლეთის ფრონტზე ყველა მიმართულებით ჩვენი ნაწილები წინ მიიწევენ. კრასნიართან ჩვენ ძლიერ დავამარცხეთ მტერი. ჩვენი კავალერიის და ჯავშნიანი ავტომობილების დახმარებით მოწინააღმდეგემ დასტოვა მრავალი სამხედრო ქონება. ბევრია დახოცილი და ტყვეთ წაყვანილი. გუშინ კამიშინის ფრონტზე შეტევა დაიწყო. უფის მიმართულებით მოწინააღმდეგე სადგურ აბდულიანზე რამოდენიმე ვერსით არის დაშორებული. ბუზულუკის მიმართულებით ორენბურგის რკინის გზის ხაზის ასი ვერსის მანძილზე გლეხთა აჯანყებაა. აჯანყება ყაზახების ბრძოლების მიერ უწესოების ჩადენის გამო არის გამოწვეული. გლეხები ყაზახების რაზმს ქლეტენ.

**გერმანული პრესის ცნობა.** გერმანულ ავსტრიის სახელმწიფო საბჭომ ვენაში ავსტრიის გერმანელებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აცხადებს, რომ გერმანულ ავსტრიისთვის შემუშავებულია დროებითი კონსტიტუცია და არჩეულია სახელმწიფო საბჭო, რომელიც ახლა გერმანულ ავსტრიის მართველობას თავის ხელში ღებულობს. სახელმწიფო საბჭო დაუყონებლივ ნიშნავს გერმ. ავსტრ. პირველ მთავრ., რომელიც საზავო მოლაპარაკებას აწარმ. მომავალში, გერმანულ ავსტრიის მართვა-გამგეობას მოვალეობათ მიიღებს და გერმანულ ავსტრიის ჯარის მთავარ-სარდ

ლობას გასწევს. გერმანულ ავსტრიის მთავრობა გერმანულ ოლქებში სრულ მფარველობას გაუწევს ეროვნულ უმცირესობებს და იმედს გამოსთქვამს, რომ სხვა ეროვნებათა მთავრობებიც ასევე გაუწევენ მფარველობას გერმანელთა უმცირესობას სლავიანურ ოლქებში. საბჭომ მოუწოდა ავსტრიის გერმანელებს სიმშვიდე დაიცვან, თვით დისციპლინა განავითარონ და მოერიდონ ყველა იმას, რაც ხელს შეუშლის გერმანულ ავსტრიაში ძალა უფლების გადაცემას და ზავის ჩამოგდებას, რომელიც უნდა შეკრას გერმანულმა სახალხო მთავრობამ გერმანიის იმპერიის თანხმობით.

ვენაში შესდგა ჯარისკაცთა დეპუტატების დროებითი საბჭო.

გუშინ დაიწყო მოლაპარაკება გერმანულ-ავსტრიულ არმიის შესახებ. აღმოსავლეთ გალიციაში პოლონელთა და უკრაინელთა შორის ბრძოლის შესახებ ვარშავის გაზეთები იტყობინებიან, რომ 1 ნოემბერს, ღამე ქალაქი ლემბერგი (ლვოვი) გერმანულ-ავსტრიულ და უკრაინულ ეროვნებათა პოლკებმა აიღეს. რადგანაც ქალაქის წყობრივ ევაკუაცია უკვე დაწყებული იყო, მცხოვრებ ჯარის წინააღმდეგობა შეუძლებელი დარჩა. გენერალ კუხალსკის ჯარზე იერიში მიიტანეს მდ. სანის მეორე ნაპირიდან წინეთ ზარანიკაზე მდგარმა ჯარებმა. გონჟებთან ერთი პოლკი გენერალ პუხალსკის გადაუდგა. პერემიშლზე შემოტევას პუხალსკი მთელი დღე იგერიებდა, იგი ყოფილ ლეგიონერებს და სტუდენტთა ჯგუფს სათავეში ედგა. რკინის-გზის ხიდი მდ. სანზე აფეთქებულია. პერემიშლი რუსინების ხელშია. „გოდინა-პოლსკას" ცნობით ავსტრიის განსაკუთრებული არმია გენერ. ხაუსკის ხელმძღვანელობით, სადაც ერცგერცოგი ვილჰელმიც იმყოფება რავა—რუსკაზე და ზამოკზე შეტევას განაგრძობენ.

საქსონიის სეიმის მეორე პალატამ 75 ხმით სამი დამოუკიდებელ ს. დ. წინააღმდეგ მიიღო პარლამენტის მთავრობის კანონ-პროექტი. მინისტრებათ დაინიშნენ სოც. ფრესდორფი, სეიმის წევრი ხელდი, სახალხო პარტიის წევრი გენტერი და ეროვნულ ლიბერალი ნიჩკე.

# ომი და ზავი

### არჩევნების გადადება.

არჩევნები ინგლისის პარლამენტში გადაიდო 1919 იანვრის ბოლო რიცხვებამდე, თანამედროვე საერთაშორისო ამბების გამო.

### ბალფურის განცხადება.

ლონდონში ბალფურს უთქვამს, რომ 1918 წლის შობისთვის საერთო ზავი ჯერ დამტკიცებულ ვერ იქნება, მაგრამ ყოველგვარი ბრძოლები შეწყვეტილ იქნებაო.

### სირიის პროტესტი.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ის ტამბოლიდან იტყობინება: „ცნობილი სირიის პატრიოტი, ოსმალეთის პარლამენტის წევრი არსლანი მიჰმართავს ყველა მეომარ თუ ნეიტრალურ სახელმწიფოებს დეპეშით, საცა სირიელ არაბთა საპარლამენტო ფრაქციის სახელით პროტესტს აცხადებს, რომ საფრანგეთი და ინგლისი ერევიან სირიის შინაურ საქმეებში და მოითხოვს რეფერენდუმს, რომელმაც უნდა გადასჭრას სირიის ბედი.

### ვილსონი და შეთანხმების სახელმწიფონი.

ფრანგულ სოციალისტურ გაზეთ „ჰუმანიტე"-ში პროფესორი გომონი სწერს, რომ ეხლა მსოფლიო ომის ბედი ვილსონის ხელშიაო. შეთანხმების სახელმწიფონი ზავის საკითხში უნდა დაემორჩილონ ამერიკის პრეზიდენტს, რადგანაც ამერიკა და არა სხვა ვინმე, აძლევს საფრანგეთსა და ინგლისს პურს, ნავთს, ყავას, მატყლს, ტყავს, ხორცს, რკინეულობას და სხვა საქონელსო.

# ახალი ამბები

გენ. ფონ კრესმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს, რაც შეიძლება მალე დაინიშნოს კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რა ზარალი მოუვიდა ფონ კუჩენბახს ბორჩალოში მისი მამულის აოხრების დროს. კომისიაში ადგილობრივ თათრების წარმომადგენლებიც შევლენ.

✦ ცენტრალურმა სასურსათო საბჭომ შეიმუშავა სავალდებულო დადგენილებანი საქონლის გა ზიდვის შესახებ, რადგანაც საქონლის გაცვლა გამოცვლის კომიტეტის ან ნებართვის აღების დროს ბოროტ მოქმედებას აქვს ხოლმე ადგილი.

✦ გაანთავისუფლეს ნაფიცი ვექილი თაიროვი, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებისთვის იყო დაპატიმრებული.

✦ მძარცველთა შეპყრობა. 4 ნოემბერს რამდენიმე შეიარაღებული პირი შევიდა სასტუმრო „ნოე"-ში და მდგმურები გასძარცვეს. წაიღეს ფულად და ძვირფასი ნივთები, სულ რამდენიმე ათი-ათასი მანეთისა. მძარცველები 1

კომისარიატის მილიციელებმა დააპატიმრეს, როდესაც ისინი ბორანზე გად მოვიდნენ გამოღმა.

✦ შაქარი. ცენტრალურმა სასურსათო საბჭომ ქალაქს გადასცა მცხოვრებთათვის დასარიგებლად ოქტომბრის და ნოემბრის შაქარი. ქალაქმა შეუძლებლად სცნო 2 თვის შაქრის ერთად დარიგება.

✦ ფოთიდან თურქეთი სთხოვს სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს, ჯამალიანს, ფოთზე სომხები აღარ გაუშვან, რადგანაც უკანასკნელ ხანს რუსეთში რუსები მრავლად მიდიან და ამის გამო გამგზავრება ძნელდებაო.

✦ თფილისსა და მანგლისს შუა მცხოვრებლები სწყვეტენ და იტაცებენ ტელეგრაფის მავთულებს.

✦ რეკვიზიცია. ცენტრალ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარემ არდიშვილმა შინაგან სამინისტროს აცნობა, რომ ს. კაჭრეთში (სიღნაღის მაზრა) რეკვიზიციის უფლებას აკოფიანცის წისქვილს ს. ფხოველის ნავთიან ადგილების მუშების საჭიროებისთვის.

✦ გამომძიებელი დუშეთის მაზრაში. იუსტიციის სამინისტრომ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ დუშეთის მაზრაში მუდმივი გამომძიებელი დაინიშნა.

✦ უფასო სამკითხველო გახსნა თფილისის ქალაქის თვითმართველობამ ნაძალადევში, ჩერქეზიშვილის ქუჩ. № 135.

ს. ზემო გომიდან (ქართლი) მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშა მიიღო, საიდაც სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება ნდობას უცხადებს მთავრობას და აღუთქვამს მხარის დაჭერას რევოლუციის მონაპოვართა დაცვის საქმეში.

✦ ოდესიდან ჩამოვიდა იქაური ქართველთა საზოგადოების მიერ გამოგზავნილი საგანგებო შიკრიკი გრ. დალაქიშვილი სხვადასხვა დავალებით და უკანვე ოდესაში გაბრუნდება კვირით ნოემბრის 9 ს. ვისაც რამეი დავალება აქვს, ან წერილი წასაღები კრებსა და ოდესაში გრ. დალაქიშვილის ნახვა შეუძლიათ „სახალხო საქმის" რედაქციაში, სასახლის ქ. № 6 ყოველ დღე დილის 11—1 საათამდე.

✦ მაქსიმ გორკის დაბადებიდან 50 წლის აღსანიშნავად 3 ნოემბერს სახალხო სახლში განზრახული იყო საღამოს გამართვა, რომელიც ელექტრონის ჩაქრობის გამო 10 ნოემბრისთვის გადაიდო. 3 ნოემბრისთვის აღებული ბილეთები ამ დღისთვის გამოდგება.

✦ ლექცია. რუსეთიდან ახლად დაბრუნებული სტანისლავ ვოლსკი წაიკითხავს ორ ლექციას იმავე თემაზე: „განწირულთა ქვეყანაში". პირველი ლექცია შესდგება ზუბალაშვილის სახალხო სახლში 7 ნოემბერს საღამოს 8 საათზე. მეორე ლექცია: „ბოლშევიკური მთავრობა სოფლად" ცალკე იქნება გამოცხადებული.

✦ კოოპერატივთა ამიერ-კავკასიის კავშირმა ათასი მანეთი გადასდო თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს განკარგულებაში წერა კითხვის შესასწავლი სკოლის ფონდის გასაძლიერებლად.

✦ გურიის დამხმარე კომიტეტის სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო ლუკა ლორთქიფანიძისაგან 250 მან. ფული შეგროვილია ფოთში ბათუმის ნავთსადგურის სარემონტო ქარხნის კანტორის მოსამსახურეთა შორის. ფული გადაეცა დანიშნულებისამებრ. შემომწირველთა სიას უადგილობის გამო ვერ ვბეჭდავთ.

✦ მადლობას უცხადებენ ამხ. ვალერიან ხურიძეს და გიორგი ლღონტს, რომლებმაც თფილისის სადგურის სამკითხველოს შემოსწირეს კარლ მარქსის სურათი, ღირებული 50 მანეთად. ბიბლიოთეკის გამგე ქ. მგალობლიშვილი.

✦ ჯარის დათვალიერება. ოქტომბრის 27-ს, საქართველოს ჯარის მთავარსარდალმა გენ. მაიორმა ალ. გედევანიშვილმა სამხედრო მრჩევლის გენ. გრაფ ვოლფსკეს და ცხენოსანი დივიზიის უფროსის გენ. ერისთავის თანახლებით დაათვალიერა ცხენოსან ბატარეია ს. მუხროვანში. მთავარსარდლის ბრძანებით გაიმართა სამხედრო ვარჯიშობა ქვეითი, ზარბაზნებითა და ჯირითი, ვარჯიშობის შემდეგ, გენ. გედევანიშვილმა სამხედრო მრჩევლის და გენ. ერისთავის თანახლებით დაათვალიერა ყაზარმები, სალდათების საავათმყოფო, რითაც მეტად კმაყოფილი დარჩა. გამომშვიდობებისას მან მადლობა გადაუხადა ცხენოსან ბატარეის წინამძღოლს პოდპ. ცაგურიას და ოფიცრებს დიდ მომზადებისთვის და ბატარეის კარგ მდგომარეობისთვის.

### პროვინციის ქრონიკა.

გორის სასულიერო სემინარიაში თავისუფალია მატემატიკის მასწავლებლის ადგილი. ჯამაგირი იგივეა, რაც გიმნაზიებში. ამის გარდა მიეცემა სამი ოთახიანი ბინა სემინარიის ეზოში თავისი მოწყობილობით.

მჭადიჯვარი (ქართლი). 24 ოქტომბერს ამხ. ტატე შოშიაშვილმა და ილიკო ბექაურმა მჭადიჯვარში აღმოაჩინეს ტყვიისმფრქვევლები ერთი მთელი და სამის ნაწილები: ლულა, დასადგომი და სხვა.

# იუსტიციის სამინისტროში

**სასამართლოს უწყების მოხელეთათვის ჯამაგირების მომატება.** იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას სასამართლო უწყების მოხელეთა ახალი შტატები. ახალ შტატებით სასამართლოს უწყების მოხელეთა დღევანდელი ჯამაგირები დროებით გადიდებულია სიძვირის გამო.

**საპყრობილეთა მმართველობის რეორგანიზაცია.** იუსტიციის სამინისტროში მუშავდება საპყრობილეთა მმართველობის რეორგანიზაციის პროექტი. პროექტის შემუშავების საქმეს ხელმძღვანელობს მინისტრის ამხანაგი გრ. ივ. გველესიანი, რომელსაც დავალებული აქვს უახლოესი ხელმძღვანელობა იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეთა ნაწილისა.

**სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის ცხოვრებაში გატარების ინსტრუქცია.** იუსტიციის სამინისტროს საიურისკონსულტო ნაწილმა შეიმუშავა დაწვრილებითი ინსტრუქცია სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის ცხოვრებაში გასატარებლად.

**საგანგებო სასამართლოში.** საგანგებო სასამართლოს სხდომები დღეს დაიწყება თფილისის სასამართლო დაწესებულებათა შენობაში.

# იარაღის აყრა

(თფ. მილიციის უფროსის ბრძანება).

თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, თფილისის მცხოვრებთა იარაღის აყრის შესახებ, თფილისის მილიციის უფროსი ყველას საყურადღებოთ აცხადებს:

1) თფილისის ყველა მცხოვრებნი, გარდა ოფიცრებისა, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოხელეებისა, რომლებიც ირიცხებიან სამხედრო სამსახურში, სახალხო გვარდიის წევრების და ის პირნი, ვისაც სამსახური აკუთვნებს იარაღის ტარების უფლებას, სხვა ყველანი ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში ჩააბარონ რაც კი იარაღი აქვთ (ვინტოვკები, ყველა სისტემის რევოლვერები). და აგრეთვე ტყვიები, მიუხედავათ, აქვთ ნებართვა იარაღის ტარებისა თუ არა:

**შენიშვნა:** ოფიცრები, რომლებიც იმყოფებიან სამხედრო სამსახურში საქართველოს რესპუბლიკაში, ნება აქვთ იქონიონ ერთი ვინტოვკა და ერთი რევოლვერი. სამხედრო მოხელეებს კი— ერთი რევოლვერი.

2) იარაღის ჩაბარება ხდება თფილისის კომენდანტის სამართველოში (გოლოვინის პრ. № 7, სასახლის პირდაპირ) დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე. იარაღის ჩაბარების დროს ყველას ეძლევა სათანადო ბარათები.

3) ის პირები, ვინც დროზე არ ჩააბარებენ კომენდანტს იარაღს, იმის და მიუხედავათ კონფისკაციას მოახდენენ მათ იარაღისას თუ არა, მაინც დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით: დატუსაღებულ იქნებიან ციხეში 6 თვის ვადით.

4) ეს ბრძანება ძალაში შედის დღიდან გამოცხადებისა.

მილიციის მოსამსახურეთ ევალებათ სასტიკი თვალყური ადევნონ, რომ შესრულებულ იქნეს სავალდებულო დადგენილებანი და 6 ნოემბრიდან ის მოქალაქე, რომელიც კი დაარღვევს ამ დადგენილებას, დაუყონებლივ პასუხისგებაში მისცენ.

მილიციის უფროსი ა. ურუშაძე.

# რუსი მუშების თავაზიანობა

ენკენისთვეში ფოთიდან რუსეთში მომიხდა მგზავრობა. სასურსათო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს ბ ნ ცინცაძეს (რომელსაც ვახლდი) რუსეთში პურზე გადასაცვლელად მიჰქონდა: შაქარი, ჩაი და შალი. ვერ დავფარავ, ვაგონიდან საქონლის გემში ჩატვირთვამ დიდი უსიამოვნება შეგვახვედრა. დატვირთვა-ამოტვირთვის მაღალ ფასებს ვიდა სჩივა, ოღონდ საქონელი არ დაკარგულიყო და ბევრი კი გაუფრთხილებლობით არ გაფუჭებულიყო. ცხადია მუშა ღირსია სასყიდლის, მაგრამ ისიც ვალდებულია იმუშაოს პირნათლად, პატიოსნად, საქონელი არ გააფუჭოს და არ მიითვისოს და ყველა ამას რომ ჩვენში ადგილი აქვს, ამას ჩვენი მოწინავე მუშები არ ფარავენ და ცდილობენ მუშები შეაჩვიონ თავის მოვალეობის პატივისცემას... ჩვენებური მუშები (მეტადრე ფოთელი) როცა რუსეთთან ერთად ვიყავით მაშინაც კი მოწინავეთ ითვლებოდენ და მე ვფიქრობდი თუ ასეა ჩვენში, მაშინ რაღა იქნება რუსეთის იმ პორტებში, საცა რეაქცია მძვინვარებს და სიტყვა „ამხანაგი" რომ სთქვა გაგწყვეტენ. საბედნიეროდ ეს ასე არ დარჩა. სტანიცა ახტარიდან ორი ბარჟა კერჩის ბოლაზში უნდა გადაგვეტვირთა გემზე, სულ იყო 25 ათასი ფუთი ხორბალი ტომრებში. მივმართეთ მუშათა არტელს, ავუხსენით, რომ პური უნდა მოხმარდეს სახალხო გვარდიას, შემდგარს მუშებისაგან და გლეხებისაგან, რომლებიც პატარა საქართველოში თავიანთი სისხლით იცავენ რევოლუციის მონაპოვარს და ვსთხოვეთ მათ დახმარება. მცირე ხნის თათბირის შემდეგ აი რა გვიპასუხეს: მუშათა უფლების მოსაპოვებელი ბრძოლა ქართველ დემოკრატებისაგან ვისწავლეთ, ჩვენთვის (მუშებისათვის) ისინი იბრძოდენ, მათი მეოხებით ჩვენ გვაქვს არტელი, რომლის წესდებით ტომრის მოუკერავათ ფუთის ამოტვირთვა-შატვირთვაში უნდა ავიღოთ 90 კაპ. მაგრამ რადგან ხორბალი იგზავნება საქართველოში, იგზავნება იმ სასახლო გვარდიისათვის, რომელმაც რევოლუცია დაიფარა რევოლუციის შავ-ყორნებ ბოლშევიკებისაგან (отъ черныхъ вороновъ революціи — большевиковъ) ტომრის მოკერვაში ჩვენ ავიღებთ მხოლოდ 36 კაპ. და მასთან არ გიანგარიშებთ ზედმეტს უქმე დღისას. მართლაც და თავისი სიტყვა შეასრულეს და შაბათ დილით რომ დაიწყეს, კვირას ნაშუადღევს უკვე დაასრულეს, იმუშავეს ყოვლად სინდისიერად, არ ცდილან ტომრების დახევას და არ დაკარგულა ერთი მარცვალიც. ამ რიგად, უცხო მუშებმა ჩვენს ღარიბ სახელმწიფო სალაროს შესძინეს რამოდენიმე ათასი. იგივე სამუშაო ფოთში გაგრძელდა ექვს დღეს... მე კერჩის მუშებს აღუთქვი ყველაფერი ეს აღმენიშნა გაზეთში. ვასრულებ დაპირებას და ვსთხოვ „ბორბას" რედაქციას ამისი შინაარსი გადაბეჭდოს, რომ შევძლო მისი კერჩში გაგზავნა.

აპ. წულაძე.

# ქალაქის საბჭო

### 4 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მოისმინეს და დაამტკიცეს წინა სხდომის ოქმი.

### საარჩევნო კომისიის მოხსენება.

მელ. რუხია. საარჩევნო კომისიას სულ ორი სხდომა ჰქონდა. პირველ სხდომაზე კომისიამ აირჩია პრეზიდიუმი და მოისმინა მოხსენება ქალაქის მდივნის, არჩევნების შესახებ. კომისიამ იქონია მსჯელობა, თუ რა ფუნქციები დაიკისროს: იყოს აღმასრულებელ ორგანოთ, თუ მხოლოდ საარჩევნო მოსამზადებელი ფუნქციებით განსაზღვროს თავის მოქმედება. კომისიამ ერთხმად უკანასკნელ აზრს დაადგა. ყოველივე დადგენილება კომისიისა წარედგინება განსახილველათ ქალაქის გამგეობას. კომისიას ჰქონდა აგრეთვე მსჯელობა და დაადგა იმ აზრს, რომ ზოგიერთი მუხლები ქალაქთა საარჩევნო დებულებისა უნდა შეიცვალოს თანახმად იმ საარჩევნო კანონ-პროექტისა, რომელიც მიიღო საქართველოს პარლამენტმა დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის. დამფუძნებელ კრების არჩევნებში ჯარს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება ეძლევა. ასეთივე ცვლილება უნდა შევიტანოთ ქალაქის არჩევნებისათვის. აგრეთვე კომისიის აზრით თფილისი უნდა დაიყოს 40 საარჩევნო უბნათ. ქალაქის საბჭო უნდა ირჩეოდეს ორი წლის ვადით. ყველა ეს ცვლილებანი შესაძლებელია საქართველოს პარლამენტმა ორ კვირაში განიხილოს და ამ გვარათ არ შეფერხდეს არჩევნებიო.

თავმჯდომარე მოითხოვს, რომ ცალკე იქნას განხილული კომისიის ფუნქციები და მერე ის ცვლილებანი, რომელიც კომისიის აზრით უნდა იქნეს შეტანილი ქალაქის დროებითი საარჩევნო დებულებაში.

გოთუა მოითხოვს, რომ კომისიის მიერ შეტანილი ცვლილებანი ეხლავე იქნას განხილული, რათა კანონმდებელმა ორგანომ დროზე მოასწროს განხილვა.

იაგჯიანი უსაყვედურებს კომისიას, რომელმაც დაიკისრა მხოლოდ მოსამზადებელი ფუნქციები და არა აღმასრულებელი. კომისია უნდა იყოს აღმასრულებელი ორგანო, რადგანაც ქალაქის გამგეობაში არ შედიან ყველა ფრაქციის წარმომადგენელნი. საჭირო კი არის, რომ ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენელნი ღებულობდნენ მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაში. ამიტომ იყო, რომ კომისიაში ყველა ფრაქციის წარმომადგენელნი არიან. რადგანაც კომისიას მხოლოდ მოსამზადებელი ფუნქციები დაეკისრებია, ეს საქმეს ძლიერ შეაფერხებს. ყოველივე დადგენილების განხილვა დასჭირდება გამგეობას. ორატორი უსაყვედურებს კომისიას, რომელიც არ გამოდგა ასეთი სერიოზულ კითხვის გადაჭრაში და მათი ფრაქციის, ე. ი. დაშნაკცუტუნის, დაუსწრებლივ გაარჩიეს ეს მნიშვნელოვანი საკითხი.

მელ. რუხია. იაგჯიანი გვესაყვედურების, რომ კომისია ძლიერ აჩქარებულა და ყველა კითხვა მათი ფრაქციის დაუსწრებლივ განვიხილავს. უნდა მოვახსენო, რომ უწყებები მათ გაეგზავნათ და თუ ვერ დაესწრნენ კრებას, ეს კომისიის ბრალი არ არის. რომ ეს საყვედურები ნათქვამი მოქმედებაში—ეს კიდევ გასაგები იქნებოდა, რადგანაც მხოლოდ ორი კრება გვქონდა. კითხვის აჩქარებით გადაწყვეტას არავითარი ადგილი არ ჰქონია. კომისიას თავის თავი აღმასრულებელ ორგანოთ რომ გამოეცხადებინა, მაშინ ყველა ტეხნიკური მუშაობა უნდა მიეღო თავის თავზე, კანონით არჩევნების მოწყობა ქალაქის გამგეობის ხელშია და აღმასრულებელ ორგანოთ, რომ გამოგვეცხადებინა კომისია, საჭირო იქნებოდა კანონის შეცვლა.

ალ. ლომთათიძე განმარტავს, რომ თანახმათ საბჭოს დადგენილებისა, კომისიას უნდა გაეკეთებინა მოხსენება თავის ფუნქციების შესახებ. კომისია ასევე მოიქცა და არავითარ აჩქარებას არ აქვს ადგილი.

იაგჯიანს შემოაქვს წინადადება, რომ თუ რომელიმე ფრაქცია არ დაეთანხმა კომისიის გადაწყვეტილებას, მის სისრულეში მოყვანამდის კითხვა უნდა გადატანილ იქნას საბჭოში.

ელიავა აღნიშნავს, რომ კომისიას თუ დაეკისრებოდა აღმასრულებელი ფუნქციები, მაშინ მიაღწევდა მიზანს იაგჯიანი თავის წინადადებით. ეხლა კი, როდესაც კომისია ყველა თავის დადგენილებას ქალაქის გამგეობას უდგენს დასამტკიცებლად, ყოველივე მნიშვნელოვანი კითხვა, რასაკვირველია, მოხსენდება საბჭოს.

არსენიძე. ყოვლად შეუწყნარებელია იაგჯიანის წინადადება. არ არის ისეთი კითხვა, რომ რომელიმე ფრაქცია არ იყოს მისი წინააღმდეგი. და ნუ თუ ამის გამო უნდა შეჩერდეს მუშაობა. ეს მომაგონებს ყოფილ პოლონეთის სეიმს, რომელსაც არ შეეძლო გაეტერებინა ცხოვრებაში რაიმე კანონი, თუ მის წინააღმდეგ რომელიმე წევრი იყო. თუ გამგეობას ენდობით, მაშინ არც ასეთი წინადადებები უნდა შემოიტანოთ თუ ეს წინადადება მიღებულ იქნა, ყოველგვარი მუშაობა შეფერხდება.

იაგჯიანმა მოხსნა თავისი წინადადება. საბჭომ მიიღო კომისიის წინადადება, რომ ის იქნება მხოლოდ მოსამზადებელი ფუნქციებით აღჭურვილი.

### იძულებითი ჩამორთმევა კერძო პირთა მამულების ქალაქის საჭიროებისათვის სასარგებლოთ.

საბჭომ წინა სხდომაზე მიიღო ამ პროექტის ხუთი მუხლი. მე 6 და მე-7 მუხლები უკამათოდ მიიღეს. მე 8 მუხლი იწვევს კამათს, სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქის საბჭომ ხელახლათ უნდა შეაფასოს შენობები და დააწესოს შესაფასებელი გადასახადი. ხმ. ხანდანოვი მოითხოვს, რომ გადასახადი ფასი არ აღემატებოდეს ორჯელ მეტს მამულის წინა წლების გადასახადისას. ხანდანოვის წინადადება საბჭომ უარყო. უარჰყვეს აგრეთვე ხანდანოვის წინადადება, რომ მეორე მუხლი ამოიშალოს, სადაც აღნიშნულია, რომ იძულებითი ჩამორთმევა უნდა სწყდებოდეს არა ნაკლებ ხმოსანთა ნახევარ რიცხვის დასწრებით, ხანდანოვი მოითხოვდა ხმოსანთა ორ მესამედს.

### კანონის შეცვლა ბინის ფასების დაწესების შესახებ.

ამირხანოვი (დაშ.) მოითხოვს, რომ ქალაქის თვითმართველობის, საქველმოქმედო დაწესებულების, სამეცნიერო საზოგადოებების შენობებზე არ დაწესდეს განსაზღვრული ფასი. არსენიძე იცავს იმ აზრს, რომ ნორმა ყველასათვის ერთგვარი უნდა იყოსო, წინააღმდეგია ამირხანოვის წინადადებისა. მცირე კამათის შემდეგ დაშნაკელების წინადადება უარჰყვეს. მე-7 მუხლი პროექტისა, სადაც აღნიშნულია, რომ მეიზოვეს ჯამაგირის ნაწილი მდგმურებს უნდა გადახდეთო ეს მუხლი რუსიას წინად. ამოშალეს პროექტ. უკამათოდ მიიღეს სხვა მუხლები. კამათს იწვევს ის პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქი ირჩევს ზედამხედველებს, რომლებიც უნდა ადევნებდნენ თვალყურს სავალდებულო დადგენილებას. ამირალოვი წინააღმდეგია ამ მუხლის. მისი აზრით, მოქალაქე თვით უნდა ზრუნავდეს, რომ ზედმეტი არ გადაახდევინონ ბინის ფასი, ეს წინადადება უარყვეს.

### შეკითხვები:

საბჭომ მოისმინა შეკითხვა ხანდანოვისა. ის ეკითხებოდა ქალაქის გამგეობას 1) მისი თანხმობით გამოცხადდა თუ არა სავალდებულო დადგენილება მილიციის უფროსის იარაღის აყრის შესახებ. 2) სთვლის თუ არა ქალაქის გამგეობა მიზან შეწონილად ასეთ განკარგულებას. 3) სთვლის თუ არა ქალაქის თვითმართველობა შესაწყნარებლად, რომ ვინც არ შეასრულებს სავალდებულო დადგენილებას, დატუსაღებული იქნება ციხეში ექვსი თვით და მე-4) სთვლის თუ არა ქალაქის გამგეობა შესაძლებლად, რომ ბატონი ურუშაძე უწოდებდეს თავის თავს ქალაქის მილიციის უფროსათ, რომელიც არ ყოფილა არჩეული ამ თანამდებობაზე საბჭოს მიერ.

ხანდანოვი მოითხოვს, რომ შეკითხვა იცნონ საჩქაროდ და განიხილონ დღევანდელ სხდომაზე.

არსენიძე. როგორიც არ უნდა მიიღოთ დადგენილება სულ ერთია—ეს კანონი გამოცემულია უმაღლეს ორგანოს დადგენილებით და მის ძალაში შესვლას ვერ შეაჩერებთ. ეს თქვენც კარგათ იცით. მიზანი თქვენი შეკითხვისა არის პოლიტიკური დემონსტრაციის მოახდენოთ. ეს კი შეგიძლიათ მოახდინოთ შემდეგშიაც და სხვა [illegible] წესით.

ხანდანოვის შეკითხვის [illegible] უარყოფილ იქნა [illegible] წესით.

პ. გოთუა აცხადებს, რომ მას თავის შეკითხვა უკან მიაქვს, რადგანაც ის, რაც შეკითხვაში ჰქონდა აღნიშნული, უკვე სისრულეში არის მოყვანილი. საბჭო სისტემატიურათ იკრიბება, ქართული ენა იქნება შემოღებული პირველ იანვრიდან. ქვეშევრდომობის კანონი მიღებულია, ამ რიგათ, მისი შეკითხვის განხილვა აღარ არის საჭირო.

პოპოვი. მე მგონია, რომ აქ არაფერი შეცვლილა. ხმოსანთა შემადგენლობა ისევ ის არის. და საჭიროა ღირსეული პასუხი გაეცეს შეკითხვის ავტორს. შეკითხვის ავტორს შეუძლია მოხსნას თავისი შეკითხვა, მხოლოდ ეს აიხსნება პოლიტიკური მშიშრობით.

გეპშტეინი. მე მგონია, რომ შეკითხვის ავტორს უფლება არ აქვს უკან წაიღოს შეკითხვა იმ დღიდან, როდესაც ის მოსმენილია გამგეობის მიერ. საბჭომ უნდა აღნიშნოს, რომ შეკითხვა შეიცავს ცილისწამებას და არაა ღირსი განხილვისა.

გოთუა აღნიშნავს, რომ მას შეკითხვა უკან მიაქვს არა იმიტომ, რომ იგი მშიშარაა, არამედ—ყველა ის, რაც აღნიშნულია შეკითხვაში, შესრულებულია. შიშს ვერავინ დამწამებს და ყოველთვის შემიძლია ღირსეულათ თავის დაცვა. მცირედი კამათის შემდეგ მიიღეს არსენიძის წინადადება: მოისმინა რა მოხსენება შეკითხვის ავტორისა, რომ მას შეკითხვა უკან მიაქვს, საბჭო გადადის მორიგ საკითხებზე.

# ტრიფონ სალაია

(მაიდნელი)

28 ოქტომბერს ღამით ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოში გარდაიცვალა ქუთაისის მუშებში კარგათ ცნობილი ამხ. ტრიფონ სალაია (მაიდნელი).

ამხ. ტრიფონი, როგორც მუშების დიდი უმრავლესობა, უბრალო ცოდნის პატრონი მუშა იყო, მაგრამ თავის ენერგიული მუშაობით და გამჭრიახი გონებით მან საპატიო ალაგი დაიკავა ჩვენს მუშებში. ჯერ კიდევ რამოდენიმე წლების წინათ, იმ დროს, როდესაც რეაქციის შავბნელი ძალა იყო გამეფებული და თავდადებული მუშაკები თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ, როდესაც ზოგი ეხლანდელი ჩვენი ამხანაგები უფრთხოდენ არალეგალურ მუშაობას, მაშინ დაიწყო ამხ. ტრიფონმა პარტიული მუშაობა და ყოველ დავალებულ საქმეს პირნათლად ასრულებდა.

მას გავეცანი პირველათ ამ რამოდენიმე წლის წინათ სატუსაღოში, რის შემდეგ უფრო დავუახლოვდი. მასში ყოველთვის ვხედავდი ერთს თავდადებულ მუშაკს პარტიისათვის და მუშათა მოძრაობისათვის.

ჩვენ, ახალგაზდა მუშებს, რომლებიც ახლად ვიწყებდით მუშაობას, ყოველთვის გვერდში გვიდგა ამხანაგი ტრიფონი, რითაც მეტ ენერგიას და სიცოცხლეს გვმატებდა. ის ყოველთვის მზათ იყო თავი გაეწირა პარტიისთვის. განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი თვისება. ის იყო პირდაპირი და გაბედული. თუ ვისმეს რაიმეს შეამჩნევდა, პირში ეტყოდა, რაც ჰქონდა სათქმელი, ვინც უნდა ყოფილიყო. ის იყო მჭერმეტყველი და როგორც მომზადებული მუშა, საუკეთესო მოლაპარაკე, აგრეთვე მას შეეძლო წერა. მაიდნელის ფსევდონიმით საუკეთესო წერილებს ათავსებდა ქუთაისის მუშათა ცხოვრებიდან ჩვენს პარტიულ ორგანოში.

რუსეთის რეაქციის დამსხვრევის შემდეგ ის თავდადებულათ ებმება განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მუშაობს სოფლებში თუ ქალაქათ, აწყობს პარტიულ ორგანიზაციებს. რევოლუციის პირველ დღეებში ქუთაისში ეწყობა მუშათა საბჭო, რომლის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იყო მუშათა პროფესიონალური კავშირირები. მას თავის პროფესიონალური კავშირის გამგეობა ირჩევს თავმჯდომარეთ. შემდეგ ქუთაისში ეწყობა მუშათა კავშირების ცენტრალური საბჭო, რის თავმჯდომარეთ ამხ. ტრიფონი იქნა არჩეული. ერთი სიტყვით ამხ. ტრიფონი ყველა რევოლიუციონურ თუ მუშების კლასიურ ორგანიზაციებში ღებულობს მონაწილეობას და შეაქვს თავისი წვლილი. მან არ იცოდა რა იყო მოსვენება, რამაც მისი ორგანიზმი მოღალა, ამას ზედ დაერთო მისი საყვარელი მეუღლის გარდაცვალება, რამაც მაში გამოიწვია მისი ფიზიკური და სულიერი ტანჯვა...

მშვიდობით ამხ. ტრიფონ! ხანმოკლე იყო შენი სიცოცხლე, მაგრამ ის, რაც შენ გააკეთე ხან-მოკლე სიცოცხლეში მუშათა კლასისთვის, დაუფასებელი და მუდამ სამაგალითო იქნება ჩვენი ახალგაზრდა მუშებისათვის. მშვიდობით ძვირფასო მეგობარო.

შენი ი. ნატაშვილი.

# ს.-დემ. პარტიაში

ტფილისი. 26 ოქტომბერს შესდგა პარტიული კრება ტფილისის რკ. გზის დეპოს ქვემო რაიონისა ამხ. ვ. სიხარულიძის თავმჯდომარეობით. დღიურ წესრიგში იყო დასმული შემდეგი კითხვები: 1) პარტიული ყრილობა და დელეგატის არჩევა, 2) რეორგანიზაცია აღმასრულებელი კომიტეტისა, 3) სახალხო გვარდიის მობილიზაცია და 4) პარტიული ლიტერატურის გავრცელება. პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. სიხარულიძემ. კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. ვ. სიხარულიძე დელეგატათ პარტიულ ყრილობაზე დასასწრებლათ.

აღმასრულებელ კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ ამხ. სიხარულიძემ გააცნო მოკლეთ საქართველოს რკინის გზის უკანასკნელი სიეზდის დადგენილება და კომიტეტის გაუქმება, რადგანაც დღემდის კომიტეტები ასრულებდნენ ადმინისტრატიულ ფუნქციებს დღეის იქით ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ ნამდვილი პროფესიონალური საქმეები. ამის გამო ჩვენ უნდა მოვახდინოთ ხელ ახალი არჩევნები პროფესიის მიხედვით, რისთვისაც საჭიროა, რომ ყველას ჰყავდეს თავის წარმომადგენელი ახალ ორგანოში, რის გამო მან გააცნო კრებას ყველა ის კანდიდატები, რომელიც წამოაყენა დეპოს ქვემო კოლექტივმა, და რომელიც კრებამ დაამტკიცა. კრება შეეხო აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმეს. რადგანაც გაზეთები ცოტა ვრცელდება დეპოში, ყველა შეგნებული ამხანაგი მოვალეა იწერდეს გაზეთს და თვალყურს ადევნებდეს თუ რა ხდება ქვეყანაში.

მეთვალყურე.

30 ღვინობისთვეს შესდგა პირველ რაიონის ს.-დ. მ. პარტიის კოლექტივის წევრთა სხდომა—ამავე რაიონის ბინაზე ამხ. სიხარულიძის თავმჯდომარეობით.

ამხ. სიხარულიძე აკეთებს მოხსენებას ცენტრალურ კომიტეტის სახელით ქალაქის მილიციის შესახებ, რამაც გამოიწვია წევრთა შორის ცხარე კამათი—ყველა აღნიშნავდა, რომ მილიცია არა სდგას დანიშნულ სიმაღლეზე, რომ მილიციონერთა შორის ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი და საჭიროა მის გასაცხრილათ ჩქარი ზომების მიღება. კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ყველა პოლიტიკური პარტიები აგზავნიან მილიციონერების პროფესიონალურ კავშირის გამგეობაში თავის წარმომადგენლებს, რომელნიც გამგეობასთან ერთად შეიმუშავებენ მილიციის გასაწმენდ ზომებს. ჯერჯერობით კი კოლექტივი იხელმძღვანელებს ცენტრ. კომიტეტის მიერ შემუშავებულ წესით მილიციონერების სამსახურში მიღების შესახებ. კრებამ იქონია აგრეთვე მსჯელობა სინემატოგრაფის შესახებ და გამოსთქვა სურვილი, რომ ნაძალადევის მუშათა კლუბში უჩვენებდნენ მეცნიერულ შინაარსის სურათებს—წინააღმდეგ შემთხვევაში სინემატოგრაფი უნდა დაიხუროს. კოლექტივის მდივანი დასძენს: საჭიროა კერძოთ კულტურულ კომისიის და საერთოდ ყველა დანარჩენმა კოლექტივის წევრებმა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა რაიონის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში. შემდეგ ამისა კრებამ გადასწყვიტა მოწვეულ იქნეს 6-სამ თვეს რაიონის საერთო და კოლექტივის წევრთა კრება. კოლექტივის კრება დაინიშნის სამ. 4 საათზე, რაიონის 6 უბანში—პარტიულ ყრილობაზე დელეგატების ასარჩევათ და მოუწოდონ, რომ რაიონულ კრებაზე ყველა წევრები დაესწრონ.

მდივანი გ. ფოფხაძე.

# პროვინცია

რაჭა. (დასასრული) ს. წესში ჩვენ მიერ გაგზავნილ მილიციას ულტიმატუმი დაუსვეს: ჩვენ ბოლშევიკებს იარაღით ვერ ვეწინააღმდეგებით, რადგან მცხოვრებლები აყობრდებიან და უკან გაბრუნდითო. მილიციის უფროსმა ეს ჩვენ გვაცნობა. ჩვენც ვუპასუხეთ, რომ რაკი ხალხი წინააღმდეგი არაა ბოლშევიკების მოსვლის ძალას ნუ ახმართ, და უკან დაბრუნდით. ჩვენ არ გვინდოდა, რომ შეტაკება მომხდარიყო ხალხსა და მილიციას შორის. ერთი საათის შემდეგ (ეს იყო შუადღისას) ამბროლაურის რაიონის კომისარმა გადმოგვცა, რომ დღის ყრილობა იყო რაიონული გლეხთა საბჭოსი და დადგენილება გამოიტანეს, რომ ვერ ვეწინააღმდეგებით ბოლშევიკურ ჯარით. ზემო რაჭაში კი ჩვენ არავითარი ძალის მოგროვება არ შეგვეძლო, რადგან ერთი ღამე იყო ჩვენს განკარგულებაში, თუმცა მეტი დრო რომ ყოფილიყო, ხალხი აქტიურ გამოსვლაზე უარს გვეტყოდა. ჩვენ მაინც კიდევ ვცადეთ წესს აქეთ სორში განაგრება, მაგრამ, აქაც მცხოვრებლებმა მოითხოვეს მილიციის უკან დაბრუნება, რადგან შეეშინდათ აოხრების. მეორე დღეს დილით ადრე საშა გეგეჭკორი უკვე წესიდან დაგველაპარაკა მეგობრულათ და მუქარით გადმოგვცა: თუ კი მილიცია გაიგზავნება ჩემ საწინააღმდეგოთ და ერთი წვეთი სისხლი თუ დაიღვრება, მაშინ ყველაფერს აოხრებო. ჩვენც გადავწყვიტეთ წინააღმდეგობა არ გაგვეწია, თორემ ისინი აოხრებდნენ. ოროშაბათ დილას მილიციონერებიც დაბრუნდნენ და უნდა აღვნიშნო, რომ ამ 25 კაცმა (მთავრობის მილიციამ) რომლის იმედიც ჩვენ გვქონდა, რაკი დაინახა, რომ ბოლშევიკები მოდიანო ერთმანეთში დაიწყო ჩუმათ ლაპარაკი: ჩვენც ბოლშევიკები ვართ, გაუმარჯოს მათო. ესენი (უთითებდენ ჩვენზე) დავაპატიმროთ ყველანი. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ საჩხერეში წასულიყო ჩვენი მილიცია და იქიდან წამოსულ ჯარს შეერთებოდა, მაგრამ არცერთი მილიციონერი ამაზე არ დათანხმდა, ვინაიდან ისინი აღმოჩნდენ მთავრობის მოღალატენი. ჩვენ, სამი-ოთხი ამხანაგი—რევოლიუციონერ ორგანიზაციაში მომუშავენი, ჩავარდით საძაგელ მდგომარეობაში. 21 ვერსის მანძილზე ბოლშევიკები მოსულნი იყვნენ და ონში კი ჩვენ არავითარი ძალა აღარ დაგვრჩენოდა. თვით დ. ონში ისარგებლეს რა ჩვენი ასეთი მდგომარეობით, რეაქციონერებმა დაიწყეს ჩოჩქოლი და ვინ იცის რას არ იზამდენ, რომ ჩვენ მათ არ მოვეშორებოდით. ჩვენ გადავსწყვიტეთ: ყველა საჭირო ქაღალდები კომისარიატის და აღმასრულებელი კომიტეტის შეგვენახა და ჩვენ მოვსცილოდით კომისარიატს, რადგან ზე სამძლეველო იყო სრულიად უმნიშვნელო მსხვერპლათ გახდომა იმ ბოლშევიკური ჯარის, რომელსაც საშა გეგეჭკორი მოუძღოდა. ჩვენ არ გვქონდა აქ საქმე იდეიურ მოწინააღმდეგესთან, რომელიც პატივს გვცემდა. ბოლშევიზმით ისარგებლებდა აშკარა რეაქცია და აქაც შესაძლებელი იყო ის, რაც დუშეთში მოხდა. მით უმეტეს, რა მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენს მათ ხელში ჩავარდნას, როცა ვიცოდით, რომ რაჭის დაკავებით ისინი ვერაფერს იზამდენ და როგორც გამოჩნდებოდა მთავრობის ჯარი, რაჭაც მას მიემხრობოდა.

ჩვენი დარჩენით პირდაპირ დავთვერ სამსახურს გავუწევდით მთავრობას და იმ გვარდიას, რომელიც ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ წამოვიდოდა. ბოლშევიკებს შეეძლოთ ჩვენი მძევლათ დატოვება და როცა მთავრობის ჯარი მოვიდოდა, მათთვის ულტიმატუმის წაყენება: არ გვესროლოთ, თორემ ამხანაგებს ამოვხოცავთო. ჩვენ ეს მოსაზრებაც მხედველობაში გვქონდა, როცა გადავწყვიტეთ, რომ ბოლშევიკებს ხელში არ ჩავარდნოდით.

ბოლშევიკების შემოსვლას რაჭა ნეიტრალურათ შეხვდა: არც წინააღმდეგობა გაუწია და არც აქტიურათ გამოეხმაურა, რაც იქიდანა სჩანს, რომ მათ 7—8 კაცს გარდა ხალხი არ გაყოლია. ეს 7 თუ 8 კაციც ქვემო რაჭიდან გაყვა.

დ. ონში საშა გეგეჭკორი შემოვიდა 26 ივნისს და მესამე დღეს გავიდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ საჩხერიდან მთავრობის ჯარი უკვე წამოსულიყო დ. ონისაკენ. ასეთ შეცდომაში შესვლა ადვილი იყო, რადგან სწორეთ მაშინ დაიწყო საჩხერის რაიონში მთავრობის ჯარის მოქმედებაც. აშკარაა, გეგეჭკორს შეეშინდა მთავრობის ჯარის, თორემ ისე ჩქარა არ წავიდოდა. საჩქარის გამო ონში კონტრიბუციის აღებაც ვეღარ მოასწრო, თუმცა გაწერით კი გაეწერა. მან მოუწოდა სოფლებიდან ხალხს, რომ იარაღი მიეტანათ და თანაც გაყოლოდენ მობოლშევიკე ჯარისკაცები, მაგრამ მისმა მოწოდებამ ვერავითარი გამოხმაურება ვერ იპოვა და ზემო რაჭიდან არავინ არც გაყოლია და არც იარაღი მიუტანიათ. ასე ცივათ შეხვდა რაჭა ბოლშევიკურ ჯარს. ბევრს კი ეგონა,—რაჭა ბოლშევიკებს მიემხრობა. დაშავებით—არაფერი დაუშავებიათ, გარდა იმისა, რომ ზოგიერთ ოჯახებში მოახდინეს ჩხრეკა და იარაღი წაიღეს. არც კომისარიატიდან წაუღიათ არაფერი, გარდა ჩვენი ს.-დ. დროშისა. ბოლშევიკური ჯარის ამოსვლამ შეაწყვეტა ნორმალური მუშაობა სამაზრო ადმინისტრაციისა და რევოლიუციონური ორგანიზაციის. მათი წასვლის შემდეგ კვლავ დაისვა საკითხი ამ მუშაობის განახლებისა. ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ მაზრას (ბოლშევიკების წასვლის შემდეგ) რამოდენიმე დღის განმავლობაში ადმინისტრაცია არა ჰყავდა. ბევრი უპასუხისმგებლო ჯგუფები იყვნენ დაინტერესებული ასეთი მდგომარეობით ესარგებლნათ და სამაზრო კომისარიატი ხელში ჩაეგდოთ, რასაც უცილებლათ მოჰყვებოდა არევ დარევა და რაჭაც ანარქიის ქსელში გაეხვეოდა. რომ ეს ასე არ მომხდარიყოს, ჩვენ გადავწყვიტეთ მთელი ძალა-უფლება გადაგვეცა ახლად არჩეულ ავტორიტეტულ ორგანიზაციისთვის—გ. ი. გლეხთა სამაზრო ცენტრისთვის. აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისი უფლება დროებით გადასცა გლეხთა საბჭოს. ეს იყო სწორი ტაქტიკური მოსაზრება, ვინაიდან აღმასრულებელ კომიტეტზე მეტი ნდობა და ავტორიტეტი გლეხთა საბჭოს ჰქონდა და ამასთანავე ხალხში საშინლათ იყო გავრცელებული პროვოკაციული ხმები აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების შესახებ, თითქოს მათ ბოლშევიკური ჯარის შემოსვლის გამო ქუთაისიდან წითელი გვარდია, ეს თავად აზნაურობის ჯარი, გამოეწერათ. ამიტომ აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის თავზე აღარ აიღო სამაზრო ადმინისტრაციის შექმნა და ეს უფლება სამაზრო გლეხთა საბჭოს ცენტრს გადასცა. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში გლეხთა საბჭომ დიდი როლი ითამაშა და სასწრაფოთ ადმინისტრატიული აპარატის შექმნით მოსალოდნელი ანარქიული გამოსვლები თავიდან აიცილა.

გლეხთა სამაზრო საბჭომ უწინარეს ყოვლისა შექმნა ახალი სამაზრო ადმინისტრაცია და ეს იმიტომ კი არა, რომ ძველ ადმინისტრაციას ნდობა აღარ გამოუცხადა, არამედ ტაქტიკური მოსაზრებით შეცვლილი მდგომარეობის გამო საჭიროთ სცნო ახალი ადმინისტრაციის შექმნა. რაც შეეხება ძველი ადმინისტრაციისა და აღმასრულებელი კომიტ. მოქმედებას ბოლშევიკების ამოვლის დროს, სავსებით მოიწონა და ნდობაც გამოუცხადა. ამ რიგათ, როგორც ადმინისტრაციის, ისე რევოლიუციონური ორგანიზაციების მოქმედება ბოლშევიკების წასვლის შემდეგ კვლავ განახლდა. ამ დროს დაიწყო ლეჩხუმის წინააღმდეგ მთავრობის ჯარის აქტიური მოქმედებაც. ამავე დროს მოქმედებდა საჩხერის რაიონში მთავრობის რაზმი. საშინლათ გავრცელდა პროვოკაცია გვარდიის შესახებ, რომ ის თავად-აზნაურობის მიერ დაქირავებულია ბატონყმობის აღსადგენათ და სხვა. ეს პროვოკაციული ხმები რაჭასაც მოედო. ჩვენ არ გვქონდა საშუალება ეს ხმები გაგვეფანტა, რადგან ხალხი შეიარაღებული იყო და სოფლათ წასვლა და დადებითი მუშაობის გაჩაღება შეუძლებლათ მიგვაჩნდა, სანამ ხალხს იარაღი არ აეყრებოდა. სამაზრო ადმინისტრაციაც ვერ გაძლიერდებოდა და მთავრობის ყოველივე დადგენილებას ვერ გაატარებდა ცხოვრებაში მანამ, სანამ ხალხი შეიარაღებული იყო. როგორც სხვა დადებითი მუშაობა, აგრეთვე ადგილობრივი მთავრობის ძალის განმტკიცება და მისი ავტორიტეტის აწევა მჭიდროთ დაკავშირებული იყო მაზრაში იარაღის აყრასთან. ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში ჩვენ ყოველ დღე მოველოდით ჯარს, რომელიც იარაღს აყრიდა მაზრას და საშუალებას მოგვცემდა მუშაობისას. მაგრამ ჯარი მთავრობამ ვერ გამოგზავნა, ალბათ მას არ სჯეროდა, თუ სულ ცოტა ძალით შეიძლებოდა რაჭაში იარაღის აყრა. ზოგიერთი საჩქარო საქმეები და განსაკუთრებით კი ერობის არჩევნები ჩვენს მაზრაში მიტომ დაგვიანდა, რომ ჯარის მოსვლას და იარაღის აყრას ველოდებოდით. მანამდი კი შეუძლებლად და არა სასურველად მიგვაჩნდა ერობის არჩევნები. საჭირო იყო ჩვენი მთავრობის რეალური ძალა თვალით ენახა ხალხს და პროვოკაციული ხმებიც გაფანტულიყო. თვით გუბერნიის კომისარი ზ. ჩხიკვიშვილი ეწვია რაჭას და დარწმუნდა, რომ აქ არავითარი უწესო გამოსვლები არ ყოფილა მთავრობის წინააღმდეგ და რაჭას ტყუილად აკერებდენ ლეჩხუმის მაზრას.

გუბ. კომისარი დავარწმუნეთ, რომ რაჭა მშვიდობიანათ აიყრიდა იარაღს. ისიც დაგვპირდა იმ განსაკუთრებული რაჭა-ლეჩხუმის რაზმის გამოგზავნას, რომელიც ამ დროს ჭრებალოში იმყოფებოდა: ცოტა ხნის შემდეგ ამ განსაკუთრებულმა რაზმმაც დაიწყო მოქმედება რაჭაში, მაგრამ სანამ ამ მოქმედების შესახებ რამეს ვიტყოდე, არ შემიძლია არ მოვიხსენიო ერთი გარემოება. როცა ლეჩხუმში ბოლო დროს მთავრობის ჯარის მხრით ოპერაციები დაიწყო, მაშინ რაჭის წინაშე ერთი საფრთხე წარმოსდგა: მთავრობის ჯარის მიერ უკან დახეული ბოლშევიკური ბრბო სულ ადვილი შესაძლებელი იყო მოსწოლოდა რაჭას და ან ძალათი მიემხრო ის და ან აქაც არევ დარევა შეექმნა. მიუხედავათ ხვეწნა-მუდარისა, მთავრობამ ჩვენ ჯარი დროზე ვერ გამოგვიგზავნა, რომ ის რაჭა ლეჩხუმის საზღვარზე, ე. ი. ჭრებალოში გაჩერებულიყო და ბოლშევიკების შემოსევისაგან რაჭა დაეფარა. ეს როლი იკისრა თითონ ქვემო-რაჭის ორმა საზოგადოებამ: პატარა ონისამ და ხვანჭკარისამ, რომელთაც გამოყვეს საკუთარი მთავრობის დამცველი რაზმები. ამ რაზმებს და საზოგადოთ ამ მოძრაობას მეთაურობდა სოფ. ხვანჭკარაში მცხოვრები გლეხი ვასილ ტყეშელაშვილი, რომელიც მაშინ სოფლის კომისრათ იყო. (დღეს კი რაიონის კომისარია). მას დიდი ღვაწლი მიძღვის რევოლიუციონური წესრიგის განმტკიცებაში. სწორეთ მისი ხელმძღვანელობით შემდგარმა რაზმებმა დიდი სამსახური გაუწია მთავრობის ჯარს, რომ არ მისცა საშუალება ბოლშევიკურ ბრბოს გადმოელახა საზღვარი და რაჭაში შემოსულიყო. ბოლშევიკებს ჭრებალოშიც ჰქონდათ შტაბი და კიდევაც სცადეს პატარა ონის საზოგადოებაზე ძალათი გასვლა და მთავრობის ჯარის საწინააღმდეგოთ წასვლა, მაგრამ პატარა ონის და ხვანჭკარის საზოგადოებამ ულტიმატუმი დაუსვა: არ წამოვიდეთ, თორემ იარაღით გაგიწევთ წინააღმდეგობას, რადგან ჩვენ მთავრობას არ ვეწინააღმდეგებითო. და განა ამის შემდეგ მკითხველისათვის ნათელი არაა, რომ რაჭის მაზრამ არამც თუ მიიღო მონაწილეობა ლეჩხუმის აჯანყებაში, პირიქით, დაიცვა რევოლიუციონური წესრიგი და დახმარებაც კი გაუწია ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას.

ახლა შევეხოთ მაზრისთვის იარაღის აყრის საქმეს და რაჭა ლეჩხუმის რაზმის მოქმედებას. ამ რაზმმა მოქმედება დაიწყო სექტემბრის პირველ რიცხვებიდან ქვემო რაჭაში, დ. ონში ამოვიდა 21 სექტემბერს. უნდა აღვნიშნო, რომ ამ რაზმის მოქმედებამ რაჭაში დიდი ნაყოფი გამოიღო. რაჭველმა გლეხებმა თავისი თვალით ნახეს თავისი მეზობელი მუშები და ნათლათ დარწმუნდნენ, რომ ისინი იყვნენ არა თავადების მიერ დაქირავებული, არამედ რევოლიუციის მონაპოვარისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამცველი. რაზმის გავლამ რაჭის სოფლებში სავსებით გაფანტა ის პროვოკაციული ხმები, რომლებიც კი გვარდიის შესახებ იყო გავრცელებული. ამ რაზმის მოქმედება არ განისაზღვრებოდა მარტო იარაღის მოკრეფით, ის პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებით ხალხს აგებინებდა, თუ რა პირობებში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და რის გაკეთება შეუძლია საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ. ეს საუკეთესო საშუალება იყო ხალხის თვალში ჩვენი მთავრობის ავტორიტეტისა და პრესტიჟის ასაწევათ და ამ მხრითაც რაზმმა თავის მიზანს სავსებით მიაღწია.

რაც შეეხება იარაღის აყრას, ამ მხრით რაჭის მაზრამ სავსებით გაამართლა ის იმედები, რასაც ჩვენ მაზე ვამყარებდით. ისე მშვიდობიანათ იარაღი არც ერთ მაზრას არ ჩაუბარებია მთავრობის ჯარისთვის, როგორც რაჭისამ. არავითარი გამწვავება ამ ნიადაგზე მცხოვრებლებსა და რაზმს შორის არ მომხდარა. ერთმა გარემოებამ კი გამოიწვია ხალხში ცოტა უკმაყოფილება. ჩასავლის საზოგადოება როგორც ოსეთის მხარე, დარჩა იარაღ-აუყრელი, რადგან ოსეთის ეროვნულმა საბჭომ თითონ უნდა აყაროს იარაღი ოსეთს. ეს ხალხის მასსამ არ იცის და ჰგონია, რომ ოსებს იარაღს არავინ აყრისო. ჩვენ აგვყარეს იარაღი და ოსებს კი არაო. ასეთი უკმაყოფილება დაიბადა ხალხში. მით უმეტეს, რომ ყაჩაღი ოსები ხშირათ ახდენენ თავდასხმას და ქურდობას რაჭის სოფლებში. რაკი ჩასავალს ჩვენი მთავრობის რაზმმა იარაღი არ აყარა, ამიტომ სამი საზოგადოება, რომელიც ჩასავლის მიმართულებით მდებარეობს, იარაღ-აუყრელი დარჩა და ეს სამართლიანიცაა, რადგან მათი იარაღის აყრა მანამდე, სანამ ჩასავალი შეიარაღებულია, ყოვლათ შეუძლებელია.

დღეს ყოველმხრივათ ისეთი პირობებია რაჭის მაზრაში შექმნილი, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციას შეუძლია თავის სიმაღლეზე დადგეს და ადმინისტრატიული აპარატი სასურველათ აამუშაოს. ამასთანავე ყურადღება უნდა მივაქციოთ ფართო მასაში პარტიულ მუშაობას, რომელიც დღემდე ვერაა სათანადოთ დაყენებული, რაც მიეწერება იმ გარემოებას, რომ ყველა ჩვენი პარტიული ამხანაგები სხვადასხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში მუშაობამ შთანთქა. დღეს აუცილებელი საჭიროა პარტიული მუშაობა სოფლათაც მწყობრ კალაპოტში ჩადგეს.

პავ. იაშვილი.

# ცნობები

პოდპორუჩიკი დათიკო ავალიშვილი, ზუგდიდის მაზრიდან, მსახურებდა მე-280 სათადარიგო ბატალიონში ქ. ყარსში. ერთი წელი გადის რაც მისი არა ვიცირა. ვინც იცოდეთ რაიმე მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ტფილისი, ავჭალის მოედანი სახ. № 4, ბინა 4. მათე შათირიშვილს.

# წერილი რედ. მიმართ

ჩვენ, მეორე ნომერ ჯავშნიან მატარებლის „კომანდა“ უღრმეს მადლობას ვუცხადებთ იმ პირებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და თავისი წვლილი შემოსწირეს ჩვენს ჯავშნიან მატარებლის ბიბლიოთეკას. 1) ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომელმაც შემოსწირა 36 სხვადასხვა წიგნაკები, 2) გურიის დამხმარე კომიტეტმა ფულათ 200 მან., 3) პოლკოვნიკ კონტრატ გენრიხისძე კოზაკოვიჩმა ფულათ 100 მან., 4) სილიბისტრო თავართქილაძემ 33 წიგნაკები. 5) მთავრობის რწმუნებულმა აგრონომმა დადიანმა ფულათ 250 მან.

ამხანაგების მონ. ხოფ. ორმოცაძე

# ფოსტა

ფოთი. ყოფილ მილიციონერს ივანე შალამბერიძეს. თქვენ წერილს რედაქცია ვერ დაბეჭდავს. ყველა მოხელემ რომ სამედიატორო სასამართლოში გაიწვიოს თავისი უფროსი, არა გვგონია ვინმემ შესძლოს სამსახურში დარჩენა. მიმართეთ ფოთის ქალაქის გამგეობას.

ბორჯომი. ვ. ზაქარაძეს. მიმართეთ კერძო წერილით ფოსტის საშუალებით.


# განცხადებანი

ქ. ლანჩხუთში, ს. ჯუნჯუათში

## იყიდება

საუკეთესო ქირი, ხელსაყრელ ფასებში, პირობების გაგება შეიძლება ქ. ლანჩხუთის კომისართან.

პატ. ამხ-ბა ს. და ნ. მშვიდობაძეები.

---

მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს სამტრედიასა და ხონს შუა

## დაიკარგა

55 მანეთამდე ფული, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა, მეტრიკული ამოწერილობა და სხვა ქაღალდები. მნახველს ვსთხოვ ფული თვითონ დაიტოვოს, ხოლო საბუთები გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: სამტრედია, დეპო, იაკობ ეგ. ჩიმ კიძეს.

---

სამკურნალო კაბინეტი

ექიმ ალექსანდრე დავითის ძის

## კეკელია

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

---

ექიმი

დიმიტრი იოსების ძე ურდანია

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

---

ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

---

მიხეილის კერძო სამკურნალო

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და ბავშვთა 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და ბავშვთა 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, ჰაერის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

---

ექიმი

## ლ. ა. სარალიძე

იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.

წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის განყოფილების ყოფილი გამგე

[illegible]

ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოთერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭაპების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

---

ექიმი

## გ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდი მთავარი თვალის გოსპიტლისა და ვენის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალი ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

---

მედ. ქალი ჩ. ბ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

---

კბილის საექიმო კაბინეთები

თედორე საყვარელის ძე ცხოველიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

ექიმი

იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

---

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

ექიმი

## დ. ჯავახიშვილი

მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

---

ექიმი მ. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

---

ექიმი

## ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა. სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

---

ექიმი ჩ. ჩ. მუხაძე

იღებს საღამოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ავლაბარი [illegible] სან. შენიების პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—7.

---

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ბარათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

---

კავკასიის სამეურნეო საზოგადოება ამხანაგობა

აუწყებს მემამულეთ, ვისაც ჰსურთ იჯარით გასცენ თავიანთი

## ხილის ბაღები

და სარწყავი

## საბოსტნეულო მიწები

მიმართონ ამხანაგობას, ბარიატინსკის ქუჩა, № 5 დღისით თორმეტიდან ორ საათამდის. (4—1)

---

## მეოთხე რაიონის კოლექტივი

ხუთშაბათს, 7 ნოემბერს საღ. 6 საათზე, ბიუროს ბინაში (უდელის ქუჩა № 3) იწვევს აღნიშნულ რაიონის ს.-დ. მ. პარტიის წევრთა

## საზოგადო კრებას

(ეს კრება გაგრძელებაა წინა სამი კრების)

დღის წესრიგი: 1) მუშათა საკითხი, 2) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 3) საოლქო ყრილობის დელეგატების არჩევნები.

ყრილობის კითხვების შესახებ მოწვეულია სპეციალური მომხსენებლები.

(2—1) კოლექტივის პრეზიდიუმი.


სწრაფალ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.